ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ორშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი.

№106 (1616)

30-31 ოქტომბერი, 1997 წელი

## თაღლითობა სამართლიანობის სახელით, ანუ...

მეხუთე გვერდი



## თენგიზ ჯგუშია ბეჟან გუნავა საქმის გასარჩევად ქუჩაში მიიწვია

მეორე გვერდი

## თვითმკვლელობა, თუ გაუფრთხილებელი შემთხვევა

მეექვსე გვერდი

## ახლა კი მივხვდი, გიაურო, ვინც ყოფილხარ, მაგრამ რაღა დროს...

„ვიცოდი, რომ შევარდნაძის და გორბაჩოვის ყოველ შეხვედრას ინაური ესწრებოდა“

მეშვიდე გვერდი

## საქართველოს გადასარჩენად ეროვნული ყრილობის ჩატარებაა საჭირო

საქართველოს გადასარჩენად ეროვნული ყრილობის ჩატარება აქვს განზრახული პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციას, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებას და პარტიას „მრგვალი მაგიდა, - თავისუფალი საქართველო“, - განაცხადა პრეს-კონფერენციაზე კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების თავმჯდომარემ ვახტანგ ბოჭორიშვილმა.

მისი თქმით, ეროვნულ ყრილობაზე შეიკრიბება ის პარტიები, ის ადამიანები, ვისაც საქართველოს ბედი აწუხებს. ბოჭორიშვილის აზრით, ეროვნული ყრილობის ჩატარება ახალი გზაა საქართველოს გადასარჩენად.

ბოჭორიშვილის თქმით, საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული. ყრილობის მიზანია საქართველოს რეალური სახელმწიფოებრიობის აღდგენა და აშენება.

საქართველოს ეროვნული ყრილობის საინიციატივო ორგანიზაციები თვლიან, რომ პარტიები, რომლებიც ეროვნული ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას არ მიიღებენ, მართვადია, რადგან ხელისუფლებას არ აწყობს საქართველოს პრობლემების საამკარაოზე გამოტანა.

თუ ეროვნული ყრილობა შედგა, საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება, - თქვა ბოჭორიშვილმა. (პრაიმ-ნიუსი)

## ასლან აბაშიძის ცოლისდამ სულ ინტრიგანები გვეძახა

— ამბობს შვილმკვდარი თინა მოწყობილი

მესამე გვერდი

## თამაზ ნადარეიშვილი არ იზიარებს მოსაზრებას საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის შესახებ

მეორე გვერდი

# თენგიზ ჯგუშიამ ბეჟან გუნავა საქმის გასარჩევად ქუჩაში მიიწვია

პარლამენტარის, ფრაქცია მოქალაქეთა კავშირის ყოფილი წევრის, თენგიზ ჯგუშიას გამოჩენამ ზუგდიდში ცოტა არ იყოს გაოცება გამოიწვია ქალაქის საზოგადოებაში, რადგან არც წინა და არც მისი დეპუტატობის პერიოდში ჯგუშია ზუგდიდში არ გამოჩენილა. ზუგდიდის სახელმწიფო დრამატულ თეატრში თენგიზ ჯგუშიას ამომრჩევლებთან პირველ შეხვედრაზე მოსულ ძირითად კონტინგენტს დამოუკიდებელი უნივერსიტეტის აუდიტორიებიდან გამოყვანილი სტუდენტები წარმოადგენდნენ, რომლებმაც არც იცოდნენ, სად, რისთვის მიჰყავდათ.

მიუხედავად ჯგუშიას ნათესავ-მეგობრების ძალისხმევისა, თეატრის 400 ადგილიანი დარბაზი მთლიანად ვერ გაივსო. სტუდენტებს, რომლებსაც ნაკლებად აინტერესებდათ ჯგუშიას ახალი პოლიტიკური პლატფორმა, დარბაზიდან გასვლის ნებას არ აძლევდნენ კარებთან მდგომი მისი ნათესავები. სამაგიეროდ, შესაშური მოსმენის უნარი გამოამჟღავნეს სამხედრო დისციპლინას მიჩვეულმა შინაგანი ჯარების ოცეულის წევრებმა. შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც აქ უფრო სეირის მაყურებელთა როლს ასრულებდნენ და ის უფრო აინტერესებდათ, თუ რას მოიმოქმედებდნენ დარბაზში მყოფი მოქალაქეთა კავშირის წევრები, რომლებმაც, სწორედ ახლა პირი წყლით აივსეს, ყურები ბამბით ამოიქოლეს და კრინტიც კი არ დაძრეს ჯგუშიას ბრალდებების გამო. შეკითხვაზე, თუ მაინცდამაინც ახლა და არა ადრე რატომ არ დატოვა მან პარტიის რიგები, ამის მიზეზად ჯგუშიამ ისევ და ისევ ბარამიძის მიერ მხედრიონელების გადაკოცნა დაასახელა.

ჯგუშიამ აგრეთვე ბრალი დასდო ფრაქციას, რომელიც, მისივე თქმით, ყოველთვის ბლოკირებას უკეთებდა საბანკო საქმეში მის გამოცდილებას. ამ შეხვედრას მოქალაქეები არანაირად არ გამოხმაურებიან, რაზედაც განაწყენებული ჯგუშია მეორე დღეს მოქალაქეთა კავშირის სამეგრელოს სამხარეო ორგანიზაციის ოფისს ეწვია და ტელედებატებში გამოიწვია პარლამენტის წევრი, მოქალაქეთა კავშირის სამეგრელოს სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბეჟან გუნავა, რომელმაც ჯგუშია უარით გაისტუმრა, რამაც ეს უკანასკნელი წონასწორობიდან გამოიყვანა და გუნავას საქმის გარჩევა ქუჩაში შესთავაზა. (ბეა)

## ზუგდიდის „პოლიტიკური“ შეხლა-შემოხლა

***ზუგდიდში** მომხდარ პოლიტიკურ შეხლა-შემოხლასთან დაკავშირებით გეი-ს კორესპონდენტი, ირმა ბარამია ესაუბრა პარლამენტის წევრს, მოქალაქეთა კავშირის სამეგრელოს სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ბეჟან გუნავას.*

*– ბატონო ბეჟან, რატომ არ დათანხმდით ჯგუშიასთან ტელედებატებს?*

– მე ვფიქრობ, რომ სიტუაცია არ მოითხოვს იმას, რომ მე ჯგუშიას გამოწვევა მივიღო. არა მგონია ზუგდიდის საზოგადოებას აინტერესებდეს ჩემი და ჯგუშიას დებატები და ის, რომ მე მის ამბიციებს პასუხი გავცე.

თუ შეიქმნება ისეთი სიტუაცია, რომ საზოგადოებისთვის საჭირო გახდება ჩემი და ჯგუშიას ტელედებატების აუცილებლობა, ამისათვის მე მზად ვარ. ახლა კი არ მინდა ქალაქი გადაიღალოს უაზრო კინკლაობით და პოლიტიკური დისკუსიებით.

*– რას იტყოდით თენგიზ ჯგუშიას განცხადებაზე, რომ ის თქვენთან ვერ იქნება, რადგან თქვენ ზუგდიდში მხედრიონთან ერთად შემოხვედით?*

– ჩვენ შემოვედით არა მხედრიონთან, არამედ სახელმწიფოს მეთაურთან ერთად. შემოვედით, რათა დაგვეცვა მოსახლეობა სამეგრელოში არსებული განუკითხაობის შედეგებისაგან, რომელიც შექმნილი იყო სახელისუფლო ვაკუუმით. ამ პერიოდში საჭირო იყო რეალური პოლიტიკა და კონკრეტული საქმე.

იგივე გია ბარამიძე, მე და სხვა მეგობრები ვაკეთებდით ყველაფერს სამეგრელოში სტაბილიზაციის დამყარებისათვის. ჯგუშიები კი ამ დროს მოსახლეობას კი არ იცავდნენ, არამედ იფარავდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც, როგორც საზოგადოება ამბობს, ხელისუფლების არარსებობის დროს ქვეყნისათვის საარსებო მნიშვნელობის პროდუქციას იტაცებდნენ, ხოლო რაც შეეხება კანონიერი ხელისუფლების ჩამოყალიბებას ზუგდიდში, მათი ოჯახი ამის მომხრე ნამდვილად არ ყოფილა.

*– რა შეფასებას მისცემთ ჯგუშიას გამოჩენას მოქალაქეთა კავშირის ოფისში და საერთოდ, მისი დამკვიდრების მცდელობას ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში?*

– ჩემთვის ნამდვილად გაუგებარი იყო ეს ფაქტი. ჯერ იყო ჯგუშიას ძმა, თორნიკე ამოვიდა ჩემს ოთახში, რომელიც სამხარეო-სახაზინო სამსახურის ხელმძღვანელია. გადაკოცნა ოთახში მყოფი მისი ყოფილი მეგობრები და ხმამაღლა განაცხადა, რომ პოლიტიკური პაექრობა პირადულში არ უნდა გადაიზარდოს.

ამის შემდეგ გამოჩნდა თენგიზ ჯგუშიაც, რომელმაც რატომღაც ელექტროენერგიის გამორთვაზე და მასმედიის ობიექტურობაზე დამიწყო საუბარი, შემდეგ ტელედებატებში მონაწილეობა შემომთავაზა, რასაც არ დავეთანხმდი, რის გამოც იგი გამინაწყენდა და ლანძღვა-გინებით აიკლო პარტიის ოფისი. ამას მოჰყვა ქალაქში საქმის გასარჩევად ჩემი მიწვევა. რაც შეეხება ჯგუშიას დამკვიდრების მცდელობას, მან ეს დაახლოებით ასე ამიხსნა: „აი, მე უძლიერესი სპეციალისტი დამჩაგრეს თბილისში და ჩამოვედი თქვენთან, რომ გავხდე თქვენი ლიდერი და პრეზიდენტის მხარდაჭერით, მოქალაქეებს სამაგიერო გადავუხადო“. (ბეა)

# თამაზ ნადარეიშვილი არ იზიარებს მოსაზრებას საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის შესახებ



გერმანიის კარდიოლოგიურ კლინიკაში ხანმოკლე მკურნალობის შემდეგ, 28 ოქტომბერს, გვიან ღამით თბილისში დაბრუნდა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი.

რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის 1998 წლის 31 იანვრამდე გაგრძელებასთან დაკავშირებით, დსთ-ს მეთაურთა კიშინიოვის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების კომენტირებისას „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში თ.ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ ეს მოსალოდნელი იყო. თუმცა იგი დარწმუნებულია, რომ 1998 წლის იანვრის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი მიიღებს გადაწყვეტილებას მანდატის შეწყვეტის თაობაზე, იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტის დარეგულირებისა და დევნილთა მშობლიურ ადგილებში დაბრუნების მხრივ, მიღწეული არ იქნება დადებითი ძვრები.

„იფრინდა“-ს შეკითხვაზე, როგორია აფხაზეთის ა/რ ლეგიტიმური ხელისუფლების პოზიცია აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა მეორე ყრილობის თაობაზე, რომლის ჩატარებაც 10 ნოემბრისთვისაა დაგეგმილი, თ.ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს პოლიტიკურ პარტიათა და ლტოლვილთა გაერთიანებას, დევნილთა მშობლიურ ადგილებში უპირობო დაბრუნების იდეის გარშემო.

თ.ნადარეიშვილი არ იზიარებს ფრაქცია „აფხაზეთი“-ს წევრის, ბ.კაკუბავას მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პრეზიდენტი უნდა გადადგეს, რადგან მან ვერ შეძლო აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირება. თ.ნადარეიშვილი თვლის, რომ პრეზიდენტის გადადგომა უკანა პლანზე გადასწევს აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხს, რადგან, მისივე თქმით, დაიწყება ბრძოლა ხელისუფლებისათვის. (იფრინდა)

# ჭუბურხინჯში მორიგი ოთხმხრივი შეხვედრა შედგა

გუშინ გალის რაიონის სოფ.ჭუბურხინჯში გაიმართა ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: ქართული მხრიდან – სამშვიდობო ძალების სარდალი პოლკოვნიკი თენგიზ ოშხერელი, ზუგდიდის ვიცე-მერი ვახტანგ შონია, და ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები, რუსეთის სამშვიდობო ძალების მხრიდან – ყოფილი შტაბის უფროსი გენერალი ვორონინი, სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილეები მესკოვეტი და დროზდოვი, ასევე გენერალ-მაიორი სურიადინი, გაეროს მხრიდან – გენერალი ხარუნი, აფხაზური მხრიდან – გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლომია, გალის მილიციის უფროსი ბეია, გალის უშიშროების სამსახურის უფროსი არშბა.

როგორც „იფრინდა“-ს კორესპონდენტს ზუგდიდის ვიცე-მერმა ვახტანგ შონიამ აცნობა, შეხვედრაზე განიხილეს დსთ-ს მეთაურთა კიშინიოვის სამიტზე რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელებასთან დაკავშირებული საკითხები. მანდატში ცვლილებებთან დაკავშირებით, ინფორმაცია გააკეთა გენერალმა ვორონინმა. მანვე ისაუბრა გალის რაიონში არსებულ ვითარებაზე, რომელიც შეაფასა როგორც სტაბილური.

გარდა ამისა, შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს 25 ოქტომბერს მომხდარი ინციდენტი. კერძოდ, ამ დღეს რუსეთის სამშვიდობო ძალების კუთვნილმა ჯავშანტრანსპორტიორმა, რომელსაც ერთ-ერთი ბატალიონის უფროსი ბალიკინი მართავდა, გადალახა მდინარე ენგური და შევიდა ზუგდიდის რ-ნის სოფ.შამგონაში, რამაც მოსახლეობის პანიკა გამოიწვია. როგორც შეხვედრაზე ითქვა, ბალიკინი გათავისუფლებულია ბატალიონის უფროსობიდან და გაწვეულია სამშვიდობო ძალების რიგებიდან.

ვ.შონიას ინფორმაციით, რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხედრო შტაბის უფროსის გენერალ ვორონინისათვის სამსახურის ვადის ამოწურვის გამო, მის მოვალეობას შეასრულებს გენერალ-მაიორი ივანე სურიადინი. (იფრინდა).

# მასწავლებლები სარიტუალო დარბაზის გაუქმებას მოითხოვენ

ქუთაისის 36-ე საშუალო სკოლაში ორშაბათს პედაგოგებმა გაკვეთილების ჩატარებაზე უარი განაცხადეს. ისინი მოითხოვდნენ ამავე სკოლის შენობის სარდაფში მოწყობილი სარიტუალო დარბაზის გაუქმებას, რომელიც 5 წლის წინ ვინმე თინათინ ბარათელმა და მისმა ოჯახის წევრებმა მოაწყვეს და დღემდე არ არის ოფიციალურად დაკანონებული.

როგორც პრაიმ-ნიუსთან საუბარში აღნიშნეს ქალაქის მერმა, ბადრი მელქაძემ და განათლების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ, თამაზ ფირცხალაშვილმა, ისინი ზემოხსენებულ სკოლაში სარიტუალო დარბაზის ფუნქციონირების კატეგორიული წინააღმდეგი არიან.

სარიტუალო დარბაზის მოწყობა სკოლის დირექციამ 1989 წელს გადაწყვიტა, იმ მოტივით, რომ დამატებითი შემოსავლების ხარჯზე გაეუმჯობესებინათ მასწავლებელთა ეკონომიკური მდგომარეობა.

სკოლის ახალმა დირექტორმა, რუსუდან ჭეიშვილმა, რომელიც ამ თანამდებობაზე სამი წლის წინ დაინიშნა, პრაიმ-ნიუსს განუცხადა, რომ 1991 წელს ძველ დირექტორს, იაზ ჭურაძეს, ბარათელმა შესთავაზა 10 ათას მანეთზე გაეფორმებინათ ხელშეკრულება, როგორც ორი წლის წინ იყვნენ შეთანხმებულნი. ფულის ინფლაციის გამო, ეს უკვე საკმაოდ მცირე თანხას წარმოადგენდა.

ყოფილმა დირექტორმა საკითხი განსახილველად წარუდგინა საქართველოს განათლების სამინისტროს ქუთაისის განყოფილებას, შინაგან საქმეთა ორგანოებს და ქალაქის ხელმძღვანელობას – დამქირავებელს კანონით დაწესებული ნიხრით უნდა გადაეხადა იჯარის თანხა. ამას არც ერთი ზემოხსენებული ინსტანციიდან

გაგრძელება მე-8 გვ.

# ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას არსებული ხელისუფლების შეცვლა სურს

„უნდა დაიწყოს ხელისუფლების შეცვლა ლეგალური, პოლიტიკური, მშვიდობიანი გზით. საჭიროა ეროვნულ პოზიციაზე მდგომი ძალების გაერ-



თიანება, რათა ეს ყველაფერი დემოკრატიული გზით განხორციელდეს“ – განაცხადა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარემ თამარ ჩხეიძემ. იგი თვლის, რომ ხელისუფლების შესაცვლელად გაწეულ უნდა იქნეს სერიოზული მუშაობა და დაინიშნოს არჩევნები.

როგორც პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, ხელისუფლება გეგმაზომიერად და მეთოდურად ახორციელებს თავის მიზანმიმართულ პოლიტიკას, რაშიც მარცხდება საქართველო, ხელისუფლება კი ქვეყნის სათავეში ყოფნის ვადას იხანგრძლივებს.

აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ეს ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შექმნილი პრობლემაა და ვიდრე არსებული ხელისუფლება იქნება სათავეში, აფხაზეთის პრობლემას მოგვარება არ უწერია. ითქვა ასევე, რომ ამ პრობლემის მოგვარებაში ყოველთვის რუსეთის ინტერესები იყო გათვალისწინებული. აღნიშნული პრობლემის მოგვარების ყველაზე რეალურ გზად ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას ძალისმიერი მეთოდები მიაჩნია, რაც, მათივე თქმით, მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების სათავეში მოსვლით განხორციელდება. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძეგლის გახსნამ ბევრ რამეს ნათელი უნდა მოჰფინოს



დღეს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ბათუმს მიემგზავრება, სადაც დაესწრება წარსულში ცნობილი პოლიტიკოსის და აჭარის ამჟამინდელი ხელმძღვანელის, ასლან აბაშიძის ბაბუის, მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნას.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის აჭარაში ვიზიტის ოფიციალური მიზანი ძეგლის გახსნაა, ბათუმში ყოფნისას ალბათ ბევრი რამ უნდა გაირკვეს რეგიონსა და ცენტრს შორის ურთიერთობების თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, ასლან აბაშიძის გართულებული ურთიერთობები პარლამენტის თავმჯდომარესთან, ზურაბ ჟვანიასთან. მით უმეტეს, რომ ბათუმში ჩასვლას ეს უკანასკნელიც აპირებს.

როგორც ჩანს, პრეზიდენტს მეტად რთულ ვითარებაში მოუწევს ძეგლის გახსნა, მით უმეტეს, რომ ძეგლის ფასადს მიღმა ბევრი რამ არის ისეთი, რომლის გამომზეურება კიდევ უფრო დაძაბავს ურთიერთობას დაპირისპირებულ მხარეებს შორის. (ბეა)

## შევარდნაძე-ჩიბიროვის შეხვედრა კვლავ გადაიდო

31 ოქტომბერს დაგეგმილი ლუდვიგ ჩიბიროვისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა კვლავ გადაიდო.

31 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტი აპირებს მთავრობის გაფართოებული სხდომის ჩატარებას, სადაც მთავრობის წევრები მოისმენენ და განიხილავენ ყულევის პოლიგონზე ჩატარებულ სამხედრო-ტექნიკური წვრთნების, „აბჯარი 97"-ის შედეგებს.

ჯავის შეხვედრა კი, როგორც ბეა-ს კორესპონდენტს სარწმუნო წყარომ აცნობა, 15 ნოემბრამდე გაიმართება. (ბეა)

## დღედღეზე გადაწყდება ჯაბა იოსელიანის პროცესის დაწყების ვადა

„მხედრიონის" ყოფილი ლიდერის, ჯაბა იოსელიანისა და სხვა 14 განსასჯელის სასამართლო პროცესის დაწყების დრო და ადგილი დღედღეზე გადაწყდება, – განუცხადა პრაიმ-ნიუსს მოსამართლე ჯემალ ლეონიძემ.

მისივე თქმით, პროცესზე დასწრების მრავალი მსურველი იქნება, მაგრამ ფიზიკურად ყველა ვერ დაეტევა სასამართლო დარბაზში. ამის გამო, სასამართლო კოლეგია აპირებს სპეციალური რეჟიმის შემუშავებას პროცესზე დამსწრეთათვის. შეზღუდვა ჟურნალისტებსაც შეეხებათ.

ორი წელი ხდება, რაც ჯაბა იოსელიანი დაკავებულია. მასთან ერთად გაასამართლებენ ბორჯომის „მხედრიონის" ყოფილ უფროსს, გიგა გელაშვილს, უშიშროების სამინისტროს სპეცდანაყოფის, „ომეგას" ყოფილ მეთაურს, ნიკა კვეზერელს, „მხედრიონელებს": თემურ ხაჩიშვილს, გოჩა გელაშვილს, გელა პაპუაშვილს და სხვებს. მათ ბრალი ედებათ 1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის მოწყობაში, სამშობლოს ღალატში, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნაში და სხვ. (პრაიმ-ნიუსი)

# ასლან აბაშიძის ცოლისდამ სულ ინტრიგანები გვეძახა

## — ამბობს შვილმკვდარი თინა მოწყობილი

ყოველივე ზემოთქმულს შეიძლება დაემატოს რამდენიმე გარემოება, რომლებიც სადავოა გამოძიების მასალებისა და დაზარალებული მხარის მტკიცების მიხედვით.

როგორც ნახეთ, 19.30 წუთიდან ერთი საათის განმავლობაში რა ხდებოდა, არ არის გარკვეული გამოძიების მასალების მიხედვით. შ.მოწყობილი კი ამტკიცებს, რომ არიან მოწმეები, რომელთა ჩვენებებით ამ დროს მოხდა ჩხუბი, სადაც მანუჩარ ვერულიძისა და ვლადიმერ მოწყობილის გარდა კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა მონაწილეობდა. ეს მოწმეები გამოძიებას არ დაუკითხავს. შოთა მოწყობილი კი ამტკიცებს, რომ სწორედ ამ ჩხუბის დროს მოკლეს ვლადიმერ მოწყობილი. შემდეგ მოაწყვეს ავტოავარიის ინსცენირება, თითქოს იგი ავარიის დროს დაიღუპა. შოთა მოწყობილი იმ მოწმეებსაც ასახელებს, რომლებსაც შეუძლიათ საქმეს ნათელი მოჰფინონ. ესენი არიან:

1. მოწყობილი გია ავთოს ძე
2. გოგმეჩაძე ლერი მერაბის ძე
3. ვერულიძე-გოგმეჩაძე მანანა
4. ლაზიშვილი ნინო
5. ცენტერაძე ლიანა
6. ლაზიშვილი გურამი

ჩხუბთან დაკავშირებულია კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ასევე არ ფიგურირებს გამოძიების მასალებში. როგორც აღვნიშნეთ, ვლადიმერ მოწყობილმა სახლიდან წამოიღო თოფი და ორი ვაზნა. ამის შესახებ მიუთითებენ შოთა მოწყობილის სხვა შვილები. ავარიის მომენტიდან ამ თოფის შესახებ არაფერი არ ისმის და შოთა მოწყობილის თქმით, გამოძიებას არაფერი არ გაუკეთებია საიმისოდ, რომ თოფი ამოეღო. თოფის ამოღების ნაცვლად მათ საქმიდან ამოიღეს თოფი და ამით გაიიოლეს ამოცანა.

თოფის არსებობისა და ჩხუბის ფაქტს ადასტურებს კიდევ ერთი გარემოება. სახლში მისული მანუჩარი აღელვებული უაზრო ფრაზებს იძახოდა: „თოფი, გადაჭრილი.., გოჩა.., დათო.., მამუკა..., ორი ვაზნა ჯიბეში მაქვს". ამ დროს არ უხსენებია ვლადიმერი, ავარია და მსგავსი ეპიზოდების აღმნიშვნელი სიტყვები. ე.ი. იგი იმას იმეორებდა, რამაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და რის გამოც იყო სტრესულ მდგომარეობაში. ამას ადასტურებენ მანუჩარის ნათესავები, რომლებიც იმ დროს შეესწრნენ ამ ეპიზოდს.

გამოძიება არ დაუეჭვებია ამ ეპიზოდს და არც შესაბამისი მოწმეები დაუკითხავს. შოთა მოწყობილი ამტკიცებს, რომ ეს მათი ტენდენციური მიდგომის გამოხატულება.

კიდევ ერთი მომენტი გამოძიების მსვლელობიდან: ტრაგედიის მოხდენიდან გავიდა ერთი წელი და ცხრა თვე. ჯერჯერობით არ ჩატარებულა გვამის ექსპერტიზა (ექსჰუმაცია). არ არის დადგენილი ვ.მოწყობილის სიკვდილის მიზეზი.

შოთა მოწყობილი ამბობს, რომ იგი თავიდან მისი შვილის სიკვდილის მიზეზად ავარიას თვლიდა და არ მიიჩნია საჭიროდ ამ პროცედურის ჩატარება.

გამოძიება კი ამბობს, რომ *„რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ 11 თვის განმავლობაში საქმე უმოძრაოდ იყო", აღნიშნული გარემოება გამოწვეული იყო მოწყობილების ოჯახის კატეგორიული და დაჟინებული მოთხოვნით, რომ საქმეს თავიდან მსვლელობა არ მისცემოდა, ვინაიდან ისინი მანუჩარ ვერულიძის ახლო ნათესავები არიან. ადგილი ჰქონდა შემთხვევით, გაუფრთხილებელ დანაშაულს და არ მოითხოვდნენ მანუჩარ ვერულიძის პასუხისგებაში მიცემას. მათ ოფიციალური ოქმების გაფორმებით ორჯერ განაცხადეს უარი გვამის არამცთუ გაკვეთაზე, არამედ გარეგნულ დათვალიერებაზეც და საერთოდ წინააღმდეგი იყვნენ საქმის სასამართლოში წარმართვისა, რის გამოც საქმეზე გამოძიება წარმოებით შეწყვეტილი იყო.*

*მომხდარი შემთხვევიდან 11 თვის შემდეგ, დაზარალებული მხარის საჩივრის საფუძველზე, ბათუმის რეგიონალურმა სამხედრო პროკურატურამ განაახლა საქმეზე გამოძიება, რომლის პროცესში დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა ავტოსაგზაო შემთხვევას სასიკვდილო შედეგით, რისთვისაც ბათუმის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის მიერ დაპატიმრებულ იქნა საჭესთან მჯდომი მანუჩარ ვერულიძე, რომელსაც ავტოავარიისათვის წარედგინა ბრალდება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაზარალებულ მხარეს გამოძიების პროცესში ხელის შეშლის მეტი არაფერი გაუკეთებია. ბათუმის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის დადგენილება გვამის სასამართლო-ექსჰუმაციის ჩატარების შესახებ, დაზარალებული მხარის კატეგორიული წინააღმდეგობის გამო ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი, რაც საფუძველი გახდა საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებისა".*

ბათუმის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის პრესცენტრის განცხადებაში, საიდანაც ეს ციტატაა ამოღებული, არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა გზით შეუშალა შოთა მოწყობილმა ხელი გამოძიებას ჩხუბის ფაქტისა და თოფის ეპიზოდის გამოკვლევაში. ამას ხომ მაინც ვერ მოახერხებდა შ.მოწყობილი?

თვითონ შ.მოწყობილი ამბობს, რომ მას გამოძიებისთვის ხელი არ შეუშლია. მომხდარს იგი ავარიად მიიჩნევდა მხოლოდ თვენახევრის განმავლობაში, შემდეგ საეჭვო გარემოებები აღმოაჩინა და ამ დროიდან მას არაფერი არ ჰქონია საწინააღმდეგო სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებისა. მაგრამ ახლა, – აცხადებს იგი, – რაც გამოძიების ქმედებაში ტენდენციური მიდგომა დაინახა, აღარ ენდობა მათ მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას, რადგანაც არსებობს საშიშროება, რომ ექსპერტიზაც ტენდენციურად ჩატარდეს აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ამიტომ იგი აპირებს თავისი სახსრებით ჩამოიყვანოს ექსპერტი რუსეთიდან და მათი ობიექტური დასკვნა არსებობდეს ამ საქმეში.

რაც შეეხება შ.მოწყობილსა და თ.ვერულიძეს, მათი ვერსია ასეთია: მანუჩარ ვერულიძემ დაათრო ვ.მოწყობილი, შემდეგ წაიყვანა „საქმის გასარჩევად". მომხდარ ჩხუბში ვლადიმერ მოწყობილი მოკლა ან მოაკვლევინა (თოფის როლი აქაც არ ჩანს) და შემდეგ მოაწყო ავარიის ინსცენირება. საქმეზე გამოძიება იმიტომ მიმდინარეობს ტენდენციურად, რომ მანუჩარ ვერულიძის მამა, რომან ვერულიძე, ქობულეთის საბაჟოს პოლიციის უფროსია, გავლენიანი კაცი. გარდა ამისა, ისინი ასლან აბაშიძის ცოლის ახლო ნათესავები არიან.

მე თვითონ სამჯერ შევხვდი ასლან აბაშიძეს, ვესაუბრე და ყველაფერში დახმარება აღმითქვაო, – ამბობს შოთა მოწყობილი, მაგრამ მაინც არაფერი შეცვლილა ამის შემდეგ. თინა ვერულიძემ კი განაცხადა, რომ, როდესაც ისინი მორიგი თხოვნით იყვნენ მისული ასლან აბაშიძესთან, ქუჩაში გაჩერებული მანქანიდან გადმოვიდა ასლან აბაშიძის ცოლისდა, გაგვლანძღა და სულ ინტრიგანები გვეძახაო.

გარდა ამისა, ვ.მოწყობილის მშობლები ამტკიცებენ, რომ რ.ვერულიძემ მათ ფული გამოსძალა: „ფულის გამოძალვასთან დაკავშირებით, მხეცმა ბარბაროსმა რომან შუქრის ძე ვერულიძემ გამომძალა 5000 დოლარი, ჩემი ბავშვის, ვლადიმერ შოთას ძე მოწყობილის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსაწყობად. აღნიშნული თანხა გადასცა პარლამენტის დეპუტატს, ჯემალ ასლანის ძე გოგიტიძეს, რომელზედაც სათანადო აქტია შედგენილი საგამომძიებლო ჯგუფის ხელმძღვანელის ს.ჯახუტაშვილის მიერ".

გამოძალვის ფაქტი, მათი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ რ.ვერულიძე მათ შეჰპირდა შვილის მოწყობას უფასო განყოფილებაზე, ხოლო აღმოჩნდა, რომ ვ.მოწყობილი ფასიანზე ჩაურიცხავთ. რ.ვერულიძეს უთქვამს: ჩემგან რა გინდათ, წადით და ეგ ფული პარლამენტარ ჯ.გოგიტიძეს მოჰკითხეთო.

როგორც ჩანს, ძიების პროცესში გამოძიებას დაშვებული აქვს შეცდომები. შეცდომები დაზარალებულთა კერძო მოკვლევასაც აქვს, მაგრამ დაზარალებულები არ არიან პროფესიონალი გამომძიებლები და მათი შეცდომა მისატევებელია. გამოძიებას კი პროფესიონალები აწარმოებენ და მათ მეტი მოეკითხებათ. ისე, საინტერესოა, როცა საქმე პოლიციის დაინტერესების საგანია, მაშინ ისინი არაფერს ერიდებიან (და თქვენ, ძვირფასო მკითხველო, არაერთხელ გსმენიათ ამის შესახებ). რა გამოდგა ეს შოთა მოწყობილი ამისთანა საშიში კაცი, ასე დააშინა საგამოძიებო ორგანოები, რომ მათ საქმის წარმოებაზე ხელი აიღეს და მის ნება-სურვილს დაემორჩილნენ?

**პაატა მანჯგალაშვილი**

დასაწყისი იხ. „საქართველო" №105

## არმაზ ახვლედიანი:

## — გამორიცხული არ არის აჭარის ხელისუფლებისგან უფრო მძლავრი ბრალდებების წამოყენება

საპარლამენტო ფრაქცია „მამულის" წევრი, აჭარიდან არჩეული დეპუტატი არმაზ ახვლედიანი შიშობს, რომ ხვალ და ზეგ, შესაძლოა, უფრო მძიმე ბრალდებები წამოვიდეს აჭარის ხელისუფლების მხრიდან, კიდევ დასახელდნენ სხვა პიროვნებები, რითაც შეეცდებიან დედაქალაქში მტრის ხატის შექმნას, – ამის შესახებ მან გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე ისაუბრა.

ბათუმის ყოფილმა მერმა, თამაზ ხარაზმა, რომელიც აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ 10 თვის წინ გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, 19 ოქტომბერს ბათუმის ტელევიზიით გამოსვლისას, ასლან აბაშიძის ხელისუფლების დამხობაში დასდო ბრალი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ზურაბ ჟვანიას და პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარეს, როსტომ დოლიძეს.

არმაზ ახვლედიანის თქმით, ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ხელისუფლებას არაერთხელ მოუსმენია არაობიექტური ბრალდებები აჭარის ხელისუფლებისაგან, მაგრამ ბოლო ბრალდებამ ზურაბ ჟვანიას მიმართ უაღრესად სერიოზული სახე მიიღო – დასახელებული იქნა კონკრეტული პიროვნების და მოქმედების ადგილი.

ახვლედიანს მიაჩნია, რომ საქართველოს პროკურატურამ თავის სიტყვა უნდა თქვას, მაგრამ, როგორც ყოველთვის, იგი საქმის გაჭიანურებას შეეცდება, რადგან მსგავსი პრობლემის მოგვარება სამართალდამცავ ორგანოებს ძალზე უჭირთ.

ახვლედიანის თქმით, საქართველოს პარლამენტში უნდა შეიქმნას საპარლამენტო ფრაქციათა წევრებისაგან შემდგარი კომისია, რომელიც პოლიტიკურ შეფასებას მისცემს ყოველივეს. (პრაიმ-ნიუსი)

## შაშიაშვილი მზადაა იტანჯოს

ქუთაისელებს კვლავ მიეცემათ საშუალება პირდაპირ ეთერში დაუსვან კითხვები შაშიაშვილს. ამჯერად გადაცემას „გისმენთ ქალაქის მერი" ალბათ „გისმენთ იმერეთის გუბერნატორი" ერქმევა.

„გადაცემის მიმდინარეობის დროს მთელი სამსახურები დაჭიმული იყვნენ, ამიტომ ხელმძღვანელები მისი განახლების წინააღმდეგი არიან" – განაცხადა შაშიაშვილმა. მიუხედავად ამისა, ის მაინც მზადაა მძიმე და აუცილებელი ნაბიჯი გადადგას და კვლავ მიიღოს მონაწილეობა ტელეგადაცემაში, რომელიც ერთ დროს მისთვის სატანჯველს წარმოადგენდა.

მარი ცქიფურიშვილი, (ბეა, ქუთაისიდან)



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაზეთ „საქართველოს" კორესპონდენტს ბ-ნ პაატა მანძულაშვილს

რედაქტორის რეზოლუცია:

პაატა, ჩემთან რამდენჯერმე იყო ბ-ნი კიმი ალიაშვილი, მთხოვს ამ წერილის გამოქვეყნებას. წერილის მიხედვით, იგი არის ბანკის მიერ გაძარცული და დაზარალებული. ნათქვამია, ცალ-ცალკე მომჩივანი ღმერთს მართალი ეგონაო. ამ წერილში წამოჭრილი საკითხი უბრალო არ არის. შეცდომა რომ არ მოგვივიდეს, გთხოვ, კიმი ალიაშვილის წერილის წაკითხვის შემდეგ მიაკითხო „საქართველოს ბანკის" ხელმძღვანელობას, დაუსვა მათ მწარე-მწარე შეკითხვები. მათი პასუხებისა და ალიაშვილის წერილის შეჯერების საფუძველზე გამოიტანო ობიექტური დასკვნა, ვინ მართალია და ვინ მტყუანი ამ დავაში, თუ რა მოხდა სინამდვილეში და ა.შ.

**ნოდარ გრიგალაშვილი**

## გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს, ბ-ნ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ, თქვენი დავალების თანახმად ჩავატარე ჟურნალისტური ძიება ბ-ნ კიმოთე ალიაშვილსა და „საქართველოს ბანკს" შორის ატეხილ დავასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, სასამართლომ „საქართველოს ბანკს" მოქ.ალიაშვილის სასარგებლოდ დააკისრა გადაეხადა 8035175 დოლარი (რვა მილიონ ოცდათხუთმეტი ათას ას სამოცდათხუთმეტი დოლარი), ხოლო ბიუჯეტის სასარგებლოდ 2000000 (ორი მილიონი) ლარი.

დამეთანხმებით, ჩვენს სინამდვილეში კერძო პირის სასარგებლოდ მიღებული ასეთი გადაწყვეტილება არის სენსაციური.

არ დაგიმალავთ, თავდაპირველად სიმპატიითაც კი განვეწყვე მოსამართლის მიმართ, რომელიც არ შეუშინდა არაფერს და არავის და დაზარალებულ ადამიანს სამართალი აპოვნინა, მაგრამ საქმის ღრმად ჩაწვდომის შემდეგ გავარკვიე: მოსამართლის სენსაციურ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს არა სამართლიანობის მოთხოვნა, არამედ ისეთივე სენსაციური გაიმასქნება საქმისა, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს საუკუნის თაღლითობა სამართლიანობის სახელით.

ქვემოთ გთავაზობთ ბ-ნ კიმოთე ალიაშვილის წერილსაც და ჩემს მიერ მოკვლეულ მასალასაც.

პატივისცემით

**პაატა მანძულაშვილი**



# რას არ იტყვის უძვლო ენა?

## კიმოთე ალიაშვილი

როგორც ვატყობ, ჩემს მოპასუხე „საქართველოს ბანკს" გამოელია უსაფუძვლო მიზეზები. თუ აქამდე ცდილობდა თავისი დანაშაული სხვისთვის გადაებრალებინა და ვერ მოახერხა, თავისმართლებად 1992 წლის „არეულობა" მოემიზეზებინა, ხელოვნურად გაეწელათ სასამართლო პროცესი... ახლა, დივერსანტად მაცხადებენ და მაბრალებენ სახელმწიფო დიდმნიშვნელოვანი ქვაკუთხედის - მისი ფულად-საკრედიტო სისტემის ნგრევას.

- ჰოი, უგნურებავ კაცისა! - იტყოდა შექსპირი. მე კი ვუპასუხებდი: „სახელმწიფო მნიშვნელოვან ქვაკუთხედს" კი არ ვანგრევ, საბანკო მაფიას ვუთხრი ძირს. ამიტომ არის, რომ აწიოკებით, შანტაჟით, სიკვდილით მემუქრებიან. სწორედ სამშობლოს და ჩემი ხალხის სიყვარულმა გამაბედვინა მათთან არცთუ უშედეგო შებრძოლება. ახლა, მთელი ხმით გაჰყვირიან, რომ სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო სისტემას ანგრევსო, საიდან უნდა მივცეთ ამდენი თანხაო, მე რომ დავთანხმებულიყავ მათ უგვან, უტიფარ წინადადებას, რომელიც დაფუძნებული იყო „ჩვენ რალა"-ზე, მაშინ არ დაინგრეოდა სახელმწიფოს „მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი"?!

მართალია, ბრალდების მოწმეებს ვერ მოვიყვან, ისინი ან ბანკირების ძაღლივით ერთგული ხალხია, ან მოწმის გარეშე ხდებოდა ეს მოლაპარაკება, მაგრამ საქართველოში არ მეგულება კაცი, არ დაიჯეროს სიტყვები - ვის გამოუტანია საქართველოში ბანკიდან არა მხოლოდ საკუთარი ფული, არამედ კუთვნილი სახელმწიფო ხელფასიც კი?! ეს ქანი (ინერცია) კომუნისტური გადმონაშთია და დროა წერტილი დაესვას.

დროა-მეთქი, რადგან თოფიანი ყაჩაღები მოესპეთ, ახლა უთოფოების ჯერია, მიუხედავად იმისა, ისინი უფრო ძლიერნი არიან.

ამ უთოფო ყაჩაღებს თუ დავუჯერებთ, ეს ხალხის ძარცვა და სახელმწიფო ქონების დატაცება თავიდანვე ყოფილა ჩადებული ამ, ეგრეთწოდებულ, ეროვნულ მოძრაობაში. ღმერთმა დაიფაროს, რომ თავისი ხალხისა და სახელმწიფოს დაკნინება-გამათხოვრების მოსურნე იყოს რომელიმე სახელმწიფოს მეთაური. მაგრამ აქვე სათქმელია, რომ ბევრმა ვერ სძლია „სიხარბესა თვისსა" და ყველა ღონეს ხმარობს თავისი დანაშაული სხვას გადააბრალოს.

გავანებოთ თავი იმ ნაღდ ვერსიას, რომელსაც „მე რალა?!" ჰქვია. კითხვა დავაყენოთ და პასუხი სრულყოფილი გავცეთ:

- იმ „ხალხს", რასაკვირველია, ისინი ხალხად არ ჩაითვლებიან, ვისაც ამერიკის გადასწრების იმიტომ ეშინოდა, რომ გამოხეული შარვალი გამომიჩნდებაო, დღეს იღრჩობა ნაარმალ ქონებაში. საიდან?! და ეს ხალხი ცდილობს მოისპოს კონფისკაციის ინსტიტუტი. ესე იგი, მკვლელი ითხოვს მკვლელობის დაუსჯელ უფლებას. მოიპარავს, დაიტაცებს, გაძარცავს... და შემდეგ... ჯერ ქონება შერჩება, შემდეგ კი სიცოცხლეც და ნაადრევი თავისუფლებაც.

არა მგონია, ეს ყოფილიყო ბატონ ედუარდ შევარდნაძის არჩევანი. ეს ამ უთოფო ყაჩაღების შავი შემოქმედებაა. მჯერა, რომ ამასაც მალე ალვკვეცთ. ამის უტყუარ იმედს იძლევა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსი. გაუცრუვდათ იმედი თაღლით ბანკირებს - კოდექსში ვერ შეიტანეს თავიანთი სასარგებლო მუხლები. ახლა კანონგარეშე დადგენილებებით სურთ შეირგონ ნაარმალი. თან ხალხი დაარწმუნონ იმაში, რომ ამას მთავრობა აკეთებს და არა თვითონ. ეს ყაჩაღები ცხოვრობენ ერთი მრწამსით - სანამ გაგვიგია, აშვებული ვართ, ვიჯირითებთო. ამავე დროს თავადაც ხედებიან, რომ აღსასრული ახლოა და არავინ, მითუმეტეს მთავრობა, მათ მხარს არ დაუჭერს.

ჩვენ მივმართავთ ბანკირთა არმიას, რომელიც „სამ ბანაკადაა" გაყოფილი:

–დამტაცებელ-გამყვლეფი ბანკირები, რომლებიც იმით ცდილობენ რეპუტაციის „აღდგენას", რომ აჭიანურებენ მოვალეებთან დავას და ისევ განაგრძობენ ხალხის და სახელმწიფოს ღლეტვას - ამათ გონს მოსვლას ვურჩევთ.

- პატიოსანი ბანკირები, რომლებიც მთელი ძალ-ღონით, გულწრფელად ცდილობენ ამოუდგნენ სიმართლეს მხარში და ბანკის ძირითადი კაპიტალი, ხალხის ნდობა მოიპოვონ არა დავით და მუქარით, არა ქრთამით და ძალისმიერი ხერხებით, არამედ დანაშაულის პატიოსანი აღიარებით და კანონიერებით, იბრძოლონ მთელი შემართებით.

- ბანკირები, რომლებსაც ნეიტრალური პოზიცია უკავიათ და საითაც თემიდას სასწორი გადაიხრება, იქით გადავლენ, ჯობია მართალ ხალხს გაყვნენ - სიმართლე ყოველთვის ძლიერია და მუდმივი.

დღეს ჩვენ ვაშენებთ სამართლებრივ სახელმწიფოს, რომლის კრედოა: - კანონმა იკანონოს! ჩვენში უკვე საკმაოდ ძლიერად მოიკიდა ფეხი საბაზრო ეკონომიკამ, კერძო საკუთრებამ, კაპიტალიზმმა, ეს კი მოითხოვს ყველას გათანაბრებას კანონთან. უნდა დაიმარხოს კომუნისტური კანონი, რომ სახელმწიფო ყოველთვის. მართალია ორგანიზაცია-დაწესებულებებთან, ორგანიზაცია კი არ ტყუის თანამშრომლებთან. დღევანდელ პირობებში ამას ჩვენი ახალი კოდექსებიც ადასტურებენ, კანონის წინაშე ყველა თანასწორია, თვით სახელმწიფოც კი. ისე რომ, ახალი, ვიღაცეებისთვის საჭირო ნორმატიული აქტების შექმნა სახელმწიფო ღალატია და საქმის გაუვალ უფსკრულში ჩაჩეხვა, ხალხის აღზევება უსამართლობის მოქმედთა მიმართ.

თუ დავუკვირდებით, ბანკირების საქციელი და მათი უკბილო არგუმენტები, პირდაპირი, სახალხო აღიარებაა საკუთარი დანაშაულის, როგორც არაერთხელ გამოთქვეს პირადად ბანკის მესვეურებმა: ნოდარ ჯავახიშვილმა, ვლადიმერ პატეიშვილმა, ვალერი შარიქაძემ, მაია გონაშვილმა. ერთადერთი გამონაკლისი რევაზ ბუცხრიკიძეა. იგი არ ცხადდება სასამართლოზე და ხმამაღლა ზეიმობს - „წერეთ და იკითხეთ!"-ო.

„ეროვნული ბანკის" პრეზიდენტმა, ბატონმა ნოდარ ჯავახიშვილმა ბრძანა:

..."რაც შეეხება ზარალის ანაზღაურებას, იმ შემთხვევაში, თუ ვაკის „ბინსოცბანკის" მიერ თანხის დაგვიანებით გადარიცხვის გამო არის მიყენებული ზარალი, მაშინ სარჩელი უნდა აღიძრას „ბინსოცბანკის" მიმართ.

საქმეც აღძრულია და სასამართლო გადაწყვეტილებაც არის!

„საქართველოს ბანკის" პრეზიდენტი აქეთ გვდებს ბრალს:

სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში დატოვება... „იქნება საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ქვაკუთხედის - მისი ფულად-საკრედიტო სისტემის ნგრევის დასაწყისი".

ჯერ ერთი, როგორც უკვე ვთქვით, ეს იქნება საბანკო მაფიოზების უკანონო შემოსავლის ძირის გამოთხრა. ბანკირები ვერ ელევიან ნაარმალ ქონებას. ჩვენ რა ვქნათ, ვისაც გაგვაყიდინეს სახლებიც, ავეჯიც, ტანსაცმელიც კი?! ვის მოვთხოვოთ ნაძარცვის ანაზღაურება?!

დატაცებული თანხები უნდა დაუბრუნდეს პატრონებს, თქვენ კი დაისაჯოთ.

დღეს საქართველო ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, საშუალებაც გვაქვს და უფლებაც, იქ ვიჩივლოთ. აქამდე თავს ვიკავებდით საქართველოს პრესტიჟის გამო. მერე ვინ იქნება დამქცევი „საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ქვაკუთხედის"?

- ამ ხუთი წლის მანძილზე, ხომ ხედავდით, რომ მე და ჩვენი ამხანაგობის ჯგუფი „საქართველოს სახელმწიფო ქვაკუთხედს - მის ფულად-საკრედიტო სისტემას ვანგრევდით", რატომ არ ამოიღეთ ხმა?!"

რას არ იტყვის უძვლო ენა?!

ნიანგის ცრემლებით ტირის და მოთქვამს ჩვენი მოპასუხე „საქართველოს ბანკი":

- გვიშველეთ! მართალია, ჩვენ დავაქციეთ სახელმწიფოც და გავამათხოვრეთ ხალხიც, მაგრამ ახლა შეგვიბრალეთ. ნუ წაგვართმევთ ნაძარცვს. აღარ გვექნება „დამფუძნებლობის" უკანონო შემოსავალი, უცხოეთის ბანკებში გადამალული დიდძალი თანხები, ფეშენებლური სახლ-კარი, ოფისები, იმპორტული ავტომანქანები, „წინაპრების დატოვებული" ოქროული, დოლარები.

ვეღარ ვისეირნებთ ავსტრალიასა და აფრიკაში, ამერიკასა და ევროპაშიც კი ვეღარ ვიგემებთ უცხო ხილს...

შეგვიბრალეთ! ჩვენ შევეჩვიეთ კეთილ ცხოვრებას, ხალხი და სახელმწიფო - გაჭირვებას. მიჩვეულს ნუ მოაკლებთ სიკეთეს, მიუჩვეველს - ნუღა მიაჩვევთ. ჩვენ ხომ ჩვენივე გაღატაკებული სამშობლოს ხალხისა და სახელმწიფოს ხარჯზე გამდიდრებულ სახელმწიფო „მოღვაწეები", თანამდებობის პირები ვართ. მერე რა, რომ ვისარგებლეთ მომენტით. დაგვიტოვეთ ნაძარცვი და თქვენ დარჩით გაძარცულები. გადახედეთ ჩვენს სიას, ვინ ვართ: პარლამენტარები, მინისტრები... კანონი ჩვენს ხელთ არ არის? შევცვლით კანონს და ყველაფერი წესრიგში მოვა. მერე რა, რომ ჩვენ დავაშავეთ, თქვენ ნუ იზამთ იგივეს, ეგ რა ადამიანობა იქნება?!

შეიბრალეთ ჩვენი ცოლ-შვილი. თქვენ ხომ უკვე მიეჩვიეთ გაჭირვებას. თქვენ შეგიძლიათ ატანა. ნუღარ გვიჩივლებთ საერთაშორისო სასამართლოებში. სირცხვილია, რას იტყვიან, ეს რა ყოფილან ქართველები?!.. ამ შეურაცხყოფისათვის, სასიკვდილოდ რომ გავწიროთ, გაგვემტყუნება?!?!?!

აბა, მოდი და გაიმეტე ეს „საცოდავი" ხალხზე მზრუნველი პატრიოტები, ნამდვილი ერისშვილები!!!

მერე რა მოხდა, შეგვეშალა, შევცოდეთ, კიდევაც ვცოდავთ, დავარღვიეთ და დავამახინჯეთ კანონები. რა დაშავდა ამით?! თქვენ რას გიშველით ჩვენი სიღატაკე?! განა კაპიტალიზმის პრინციპი არ არის, მდიდარი უფრო მეტად გამდიდრდეს, ღარიბი კი - გაღარიბდეს! თქვენი საქციელით გაბოროტებულებმა ხომ შეიძლება უარესი დანაშაული ჩავიდინოთ?! ვინ იქნება მაშინ დამნაშავე, მძარცველები მკვლელებადაც ვიქცეთ?! გაჭირვების გამო დავიწყოთ ქურდობა, ბოზობა... ხომ გაირყვნა საქართველო?! არ გირჩევნიათ გყავდეთ მდიდრები?! ყველა ღატაკი იყოს? საზღვარგარეთი როდემდე დაგვეხმარება? ვინ მოგიწყობთ უპოვართა სასადილოებს, ვინ ჩაგაცმევთ ძველმანებს...

აბა, დაფიქრდით! რა ყურს უგდებთ ალიაშვილის და მისთანათა „გასვრილ" ხალხს ყურს, ნუ გაგვაბოროტებთ, ამით არაფერი შეგემატებათ არც ხალხს და არც საქართველოს".

ასე ბღავის და იმუქრება ჩვენი მოპასუხე „საქართველოს ბანკი". ნურავის უგდებთ ყურს, შურიანები ცილს სწამებენ.

- რას არ იტყვის უძვლო ენა?!

„საქართველოს ბანკი" ბღავის იმიტომ, რომ კანონით დიდი ნაძარცვის უკან დაბრუნება უწევს და ეს მთელი საქართველოს დაქცევად მიაჩნია. რომ გაკოტრდეს კიდეც, განა ეს სამართლებრივ ქვეყანაში გასაკვირია (ვის შერჩენია ნაარმალი?!)? მითუმეტეს, თუ ეს თავისი არაკანონიერი საქციელის გამო მოუვა?! შეეგუეთ, ბატონებო, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია და დამნაშავე უნდა დაისაჯოს მისი შეძლების, რეგალიების, გვარიშვილობის მიუხედავად.

# თაღლითობა სამართლიანობის სახელით,

## ანუ ბანკის გაძარცვა ასეც შეიძლება (ქართულად (?))



**ბატონო ნოდარ**, ახლა კი მას შემდეგ, როცა მკითხველი გაეცნო ბ-ნ კიმოთე ალიაშვილის წერილს, ვიწყებ თხრობას ჩემი ძიების შედეგთა შესახებ.

პირველ ყოვლისა, მინდა მოგახსენოთ, დღეს ათასობით გაძარცული მეანაბრის და საერთოდ გაძარცული საქართველოს თვალში ბანკისა და ბანკირების დაცვა ერთობ არამომგებიან პოზიციაში აგდებს კაცს, მაგრამ, ბატონო რედაქტორო, ეხელმძღვანელობ რა თქვენს მიერ არაერთგზის მოწოდებული პოზიციით – „იაზროვნეთ სახელმწიფოებრივად“. გაწვდით არაპოპულისტურ, მაგრამ ობიექტურ მასალას.

საქმე ის გახლავთ, რომ ბ-ნი კიმი ზოგადად მართალია, როცა ბანკებში ფეხმოკიდებულ კორუფციაზე წერს, მაგრამ არ არის მართალი, როცა ინფლაციის ნიადაგზე მოსახლეობის გალატაკებასაც ბანკებს აბრალებს. ეს იგივეა, კიბოთი გარდაცვლილი ავადმყოფის ჭირისუფალმა რომ სიკვდილის მიზეზად არა კიბო, არამედ ექიმი დაასახელოს. ქვეყანა ახლო წარსულში მძიმედ იყო ავად და ბანკირს არავინ ეკითხებოდა იმას, რაც ხდებოდა...

ის ზოგადი საყვედურიც, რაც ბანკირების მიმართ კ.ალიაშვილის წერილში სამართლიანი მგონია, უსამართლო ბრალდებაა „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტის ბ-ნ ვლადიმერ პატეიშვილის მიმართ და აი, რატომ:

1) 1992 წელს, როცა ბ-ნი კ.ალიაშვილი დაზარალდა, პატეიშვილს ხსენებულ ბანკში არ უმუშავია.

2) პატეიშვილი ამჟამად ხელმძღვანელობს იმ ბანკს, რომელიც „დამზარალებლის“ სამართალმემკვიდრეა, მაგრამ მისი მტკიცებით, სასამართლო გადაწყვეტილებით სწორედ მისი ბანკია დაზარალებული და ამ მტკიცებას, როგორც ქვემოთ დაინახავთ, სრული საფუძველი აქვს.

3) ბ-ნი ვლადიმერ პატეიშვილი საერთოდ წესიერი კაცის რეპუტაციით სარგებლობს, აქედან გამომდინარე, ზემოთწარმოდგენილი წერილის ავტორის გულისწყრომა უბრალოდ არასწორი მისამართით არის გადმოფრქვეული.

ახლა კი საქმის არსის შესახებ:

### აქა ამბავი მოქალაქის გაძარცვისა

**ბ-ნი კიმოთე ალიაშვილი მართლაც დაზარალებულია. საქმე ასე იყო:**

1992 ავადსახსენებელ წელს „საქართველოს ბანკის“ ვაკის ფილიალმა, ანუ როგორც მაშინ ერქვა „საქბინსოცბანკის“ ვაკის განყოფილებამ შეასრულა საქტელერადიოკომიტეტის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის საქველმოქმედო საზოგადოება „კავკასიონი-კა“-ს საგადასახადო დავალება და „მოსბიზნესბანკის“ სვერდლოვის ფილიალში პარფიუმერიის ფაბრიკა „სვობოდას“ ანგარიშზე გადარიცხა 1200000 მანეთი. „კავკასიონი-კა“-ს წარმომადგენელი იყო მაშინ და მისი სამართალმემკვიდრეა დღეს მოქ. კიმოთე (კიმი) ალიაშვილი.

ეროვნულმა ბანკმა ჩამოაჭრა შესაბამისი თანხა საკორესპონდენტო ანგარიშიდან 29 ივნისს, შეასრულა საჭირო ოპერაციები და გაგზავნა შეტყობინება თანხის გადარიცხვის შესახებ, რომელსაც სპეციფიკური სახელი „ავიზო“ ეწოდება და ნომერი ჰქონდა 18.

ერთი სიტყვით, ვაკის განყოფილებამ, რომლის სამართალმემკვიდრე დღეს არის „საქართველოს ბანკი“, შეასრულა თავისი მოვალეობა და ყველა ოპერაცია განახორციელა ეროვნული ბანკის მიმართ.

მალე გაირკვა, რომ ადრესატს ფული არ მიუღია. ეროვნულმა ბანკმა, როგორც ეს მას ევალებოდა, რამდენჯერმე გააგზავნა შეტყობინება რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო ცენტრში განხორციელდა თუ არა გადარიცხვა. არსებული წესის თანახმად, სანამ დადებითი ან უარყოფითი პასუხი არ მოვიდოდა, ბანკი გადარიცხვას ვერ გაიმეორებდა. პასუხი მხოლოდ 1993 წლის სექტემბერში მოვიდა, – გადარიცხვა არ მიგვიღიაო. ეროვნულმა ბანკმა სასწრაფოდ გაიმეორა გადარიცხვა და „მოსბიზნესბანკმა“ იგი მიიღო 1993 წლის 15 დეკემბერს.

### როგორ იბარტყა ფულმა ფული?

მაშ ასე, უტყუარი საბუთებიდან ჩანს, რომ ბანკის ვაკის ფილიალის ფული გადაურიცხავს, ანუ მისი ანგარიშისათვის 1200000 ჩამოუჭრიათ, ანუ ამ ფულით არ უსარგებლია. რაკი ფული ჩამოაჭრეს, მოსკოვში მისი ხანგრძლივი დროით დაგვიანებით ჩარიცხვის მიზეზი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ვაკის ფილიალის მიერ ამ ფულის გამოყენება ან სხვა რამ დანაშაულებრივი ქმედება, მაგრამ ფაქტი ერთია: ეს თვით ალიაშვილისთვის ვერაფერი შეღავათია. იგი დაზარალდა, რადგან გადარიცხვის შემდეგ მისი ფული გაუფასურდა.

### ვინ არის დამნაშავე?

ფული ეროვნულ ბანკს უნდა გადაერიცხა, ამიტომაც ბ-ნი ალიაშვილი, სხვათა შორის, სწორედ ეროვნულ ბანკს უჩიოდა დიდხანს. ისე რომ, გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა წლების განმავლობაში არც იცოდა ამ საჩივრების შესახებ. უტყუარი საბუთებით ისიც ირკვევა, რომ ეროვნულ ბანკსაც შეუსრულებია თავისი მოვალეობა, მაგრამ ფული ადრესატამდე ვერ მივიდა, ან იქნებ მივიდა და დამალეს კიდეც. ჩვენი დიდი რუსი ძმები შეკითხვაზე პასუხის გამოგზავნასაც არ კადრულობდნენ ან ერთობ დაგვიანებით თუ ინებებდნენ. დამნაშავის პოვნა, ალბათ, ძიების საქმეა, მაგრამ შეუიარაღებელი თვალით ის ჩანს, რომ ყველაფერი გამოიწვია არეულმა დრომ, როცა ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა.

მაგრამ რა შუაშია მოქალაქე ალიაშვილი?

ვიღაცამ ხომ უნდა აგოს მის წინაშე პასუხი. განა მისთვის მნიშვნელობა აქვს ეროვნული ბანკი აუნაზღაურებს ზარალს თუ „საქართველოს ბანკი“? მთავარია, რომ იგი დაზარალდა და მართლაც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ვინ აუნაზღაურებს ზარალს დაზარალებულს.

კ.ალიაშვილმა დაგვიანებით, მაგრამ მაინც უჩივლა ბანკს სასამართლოში 1995 წლის თებერვალში, სადაც მოითხოვდა თავისი ფულის დაბრუნებას ინფლაციის გათვალისწინებით და ბანკის დაჯარიმებას გადარიცხვის დაგვიანებისათვის.

გაჭიანურებულ სასამართლოებზე და ერთმანეთის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებზე აღარ მოგახსენებთ, არ დაგღლით. საქმე განხილვისათვის, უკვე მეორედ, გადაეცა საბურთალოს რაიონის სახალხო სასამართლოს. ამ უკანასკნელებმა გადაშალეს წიგნები, გადმოიღეს საანგარიშოები თუ კალკულატორები, ითვალეს, იკითხეს და რომ ვერაფერი გაუგეს საქმეს, ჯერ ერთ ექსპერტს მიმართეს, რომელმაც „საქართველოს ბანკს“ 23000000 დოლარის გადახდა „მიუსაჯა“, ხოლო შემდეგ მეორეს, იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრს. ამ უკანასკნელმა კ.ალიაშვილი „დააზარალა“ და 8 მილიონამდე დაიყვანა თანხა: პლიუს 2000000 ბიუჯეტში ჩასარიცხად.

ერთი რამ მაინც გაუგებარია: რატომ გადაწყვიტა სასამართლომ თანხის ამერიკულ დოლარებში გადახდა? ძალიან მწვანეა და იმიტომ. ან, ალბათ, დოლარი წარმოადგენს მათთვის ერთადერთ უცვლელ და მარადიულ სუბსტანციას. საკითხავია, სასამართლო იმ საწყალ ხალხსაც ასე უანგარიშებს ზარალს, რომელთაც სახლის ფული რომ შეიტანეს ბანკში და დღეს ფუნთუშის საყიდელ ფულს რომ უბრუნებენ? რომ ვიცოდე, მეც ასე დამიანგარიშებენ, დღესვე ვიჩივლებდი. მაგრამ მსგავსი ფინანსური ოპერაცია მსოფლიოში არავის გაუგონია, 1200000 რუბლი ათ მილიონ დოლარად იქცეს ერთბაშად?

ასე იყო თუ ისე, სასამართლომ დაადგინა, გადახდეს „საქართველოს ბანკს“ 8035175 დოლარი მოქ.კ.ალიაშვილის სასარგებლოდ.

კი, მაგრამ, რატომაო? – შეიძლება იკითხოს კაცმა.

რატომ და ის ეშმაკის ფეხი ავიზოა თუ რაღაცა, ვერსად ვერ იპოვნეს. ერთადერთი ეგზემპლიარი თვითონ ბანკში იყო, რომელიც წესით მას უნდა დარჩენოდა. დანარჩენი, რომლებიც ფოსტის მეშვეობით გაეგზავნათ იმ ორგანიზაციებს, რომელთაც ამ გადარიცხვის განხორციელებაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ, კაცმა არ იცის. ფოსტამ, მაგალითად, განაცხადა: ჩვენ დოკუმენტაციას მხოლოდ ერთი წლით ვინახავთ და ამჟამად კი 1997 წელიაო. მოკლედ, ირბინეს, ითავცემეს ბანკის წარმომადგენლებმა, მაგრამ იმ ოხერ ავიზოებს ვერსად ვერ მიაგნეს.

მოიცა, მოიცაო, იტყვის გამჭრიახი მკითხველი, ბანკის წარმომადგენლები რატომ დარბოდნენ თავიანთი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, ეგ ხომ მთავარი იურიდიული პრინციპის, უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევააო მართალიც იქნება.

თურმე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 219 მუხლში წერია: „პირი, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება ან შეასრულა არაჯეროვნად, ქონებრივად პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, თუ მას ბრალი მიუძღვის.

ბრალის არქონა უნდა დაამტკიცოს ვალდებულების დამრღვევმა პირმა“ ეს კი შესანიშნავია, რა საჭიროა პროკურორი, სასამართლო უიმისოდაც გადაწყვეტს საკითხს. დაამტკიცე, რომ ბრალი არ მიგიძღვის და თავისუფალი ხარ! ღმერთმა დაგიფაროთ, პატივცემულო მკითხველო, მაგრამ ხვალ რომ ვინმე გადარეულმა დაგიჭიროთ: დაამტკიცე, რომ 1963 წელს თქვენს მიერ ჩიტისთვის ნასროლი პრეზიდენტ კენედის არ მოხვედრია და გაგიშვებო, – დაამტკიცებთ?

გამწარებული ბანკირები თითებს იჭამენ, 1993 წელს მაინც ეჩივლა, მაგ ოჯახაშენებულს, ხომ იქნებოდა ის ავიზო ფოსტის დოკუმენტაციაშიო. ხან ამბობენ, ეტყობა, მაგან კანონების ეს „არშიები“ აღმოაჩინა ახლახანს და მილიონერობა მოინდომა, თორემ სად იყო აქამდეო?

ასეა თუ ისე, დაზარალებული ზის და დღე-დღეზე ელოდება გამილიონერებას. მაშინდელი 1200000 რა იყო, ყველაზე მეტი 5000$, ახლა კი – რვა მილიონი. შესანიშნავი ფინანსური ოპერაციაა. მსოფლიოს ნებისმიერი ბიზნესმენი დაეკითხება ჭკუას.

არა, ბანკები ნამდვილად არ არიან დასანდობები, მაგათი ჯავრი ბევრსა სჭირს, მაგრამ როცა შენ ყვირიხარ, დაახლოებით ასე: არიქა, გამქურდეს, დამაქციეს, წაგვართვეს, გაგვათრიეს, მოგვატყუეს, ანეტა გეძახისო, და სხვა ამგვარებს, თვითონ ნუღა იკადრებ ასეთ რამეს და ნუ აიღებ იმას, რაც იცი, რომ შენ არ გეკუთვნის.

ერთი მხრივ, ხომ დააზარალეს ბანკი, მოსდგნენ მერე და სულ გაათრიეს. დაიწყეს თვლა. თვლა ყველამ თავისებურად იცის.

საბურთალოს სასამართლოში, კერძოდ, ასეთი თვლა იციან:

ამანა თქვაო, მოღუნეს ერთი თითი, – 1992 წელს ერთი დოლარი 56 კაპიკი ღირდა (სოციალ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტს დიდი შრომა დასჭირვებია ამ ფასდაუდებელი ცნობის მოსაწოდებლად. არადა, ბავშვმაც კი იცის, რომ ასეთი რამ რეალობაში არ არსებობდა, მხოლოდ გაზეთ „იზვესტიას“ უნდა ვუმადლოდეთ იუმორის ამ შედევრისათვის), ამიტომ 2142857 დოლარი გამოდის 1200000 მანეთიო.

ამანა თქვაო, და მეორე თითიც მოღუნეს, – ყოველი დაგვიანებული დღისათვის თითო დღეს თანხის 0,5% ერიცხებაო. ესეც 5892854 დოლარი. დაღლოცვილებმა 1992 წლის არარეალური მონაცემებით სრულიად რეალური ვალი გამოიყვანეს 1997 წელს. ისე მოხდა, რომ მომჩივანი თავისი ფულის ინფლაციაზე შიშობდა და პირიქით კი გამოვიდა, უკუინფლაცია მოხდა.

ამან კიდევა თქვაო, მოღუნეს მესამე თითი, ჩვენც ხო გვინდა რაღაცაო, 2073217 ლარი (თავისთვის ლარის მეტი ვერაფერი გაიმეტეს. ხედავთ? დოლარი – არა) სახელმწიფო ბაჟი უნდა გადაიხადოთო.

დანარჩენმა თითებმა რა თქვეს, სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ წერია, მაგრამ „საქართველოს ბანკისთვის“ ესეც საკმარისი იყო. აღარ იციან, ვის მოაკლონ ეს ათი მილიონი,– მეცნიერებს, მოსწავლეებს თუ ისედაც ორი კაპიკის შემყურე პენსიონერებს. სამაგიეროდ, ბატონ კიმოთეს მალე არ ეცოდინება, რა უყოს ამდენ ფულს...

**პაატა მანჭულაშვილი**

*რედაქტორისაგან: ძვირფასო მკითხველო, კორესპონდენტის ძიებამ ის შედეგი გამოიღო, რაც ზემოთაა მოთხრობილი: თქვენი არ ვიცი და მე პირდაპირ გაოგნებული დავრჩი. რომ მეგონა, საბურთალოს რაიონის მოსამართლე ამ დუნიაზე ყველაზე პროგრესული კაცი ყოფილა, საქართველოში პირველად დაზარალებული მეანაბრის უფლება დაიცვა-მეთქი, ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა.*

*საკმარისია 5 ასეთი მოსამართლე და... არანაირი მიტინგები, არანაირი თოფის სროლა და რევოლუცია, ეს ხელისუფლება ზუსტად 5 დღეში დაემხობა. აბა რა იქნება, მილიონობით მეანაბრე რომ გაიგებს 1992 წელს ბანკში შეტანილი 1200000 მანეთი, რომლითაც მაშინ ერთ „მოსკვიჩს“ იყიდდი, დღეს შეიძლება 10 მილიონი დოლარით ავინაზღაუროთო, ანუ „ბოინგის“ საყიდელი ფულითო, პატარა ამბავი დატრიალდება?*

*მე ძალიან გამიხარდება ბატონ კიმის გამდიდრება, მაგრამ ამ ისედაც დაქცეული ქვეყნის უფრო მეტად დაქცევა არ მიხარია.*

*კი, არსენა იქცეოდა ასე, მდიდარს ართმევდა, ღარიბს აძლევდა, მაგრამ არსენა ყაჩაღი იყო. ნეტავ ეს ჩვენი მოსამართლეც ყაჩაღი ხომ არ არის? ან რა გამრავლების ტაბულა უდევს ასეთი, 5000, გნებავთ, 10000 დოლარი რომ 10000000 დოლარად აქცია?*

## პანტელეიმონ გიორგაძის პარტია ზეიმისთვის ემზადება

მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებები, – უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერმა პანტელეიმონ გიორგაძემ.

მისი თქმით, ზეიმის ბოლო აკორდი იქნება დედა-ენის ძეგლთან 7 ნოემბერს გამართული მიტინგი, რომელშიც 3



ათასამდე ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.

„თბილისის ყველა რაიონიდან კომუნისტები გაშლილი ტრანსფარანტებით მივლენ მიტინგის ადგილამდე", – თქვა პანტელეიმონ გიორგაძემ. პრაიმ-ნიუსთან საუბარში მან დარწმუნებით აღნიშნა, რომ „ვერავინ გაბედავს მომიტინგე კომუნისტების დარბევას, რადგან არ მოისურვებენ საქვეყნოდ შერცხვენას".

მისი თქმით, ქართველმა კომუნისტებმა უკვე დაიწყეს მზადება 7 ნოემბრის აღსანიშნავად, „შეუდგნენ რევოლუციისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ძეგლებისა და მემორიალების დასუფთავება-გალამაზებას".

თავად პანტელეიმონ გიორგაძე არ მიიღებს მონაწილეობას თბილისში 7 ნოემბრისთვის დაგეგმილ ღონისძიებებში. ამ დღეს ის სიტყვით გამოვა მისი რუსი კოლეგების მიერ ორგანიზებულ მიტინგზე სანკტ-პეტერბურგში. (პრაიმ-ნიუსი)

## ორი რეზერვუარი და მილსადენის ერთი შტო CHEVRON-მა არენდით გადასცა აზერბაიჯანის სანავთობო კომპანიას

„კომპანია CHEVRON-ს განზრახული აქვს ჩადოს სახსრები თენგიზის საბადოდან მოპოვებული ნავთობის პირდაპირი ტრანსპორტირებისათვის რკინიგზით", – თქვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სანავთობო-კომპანიის პრეზიდენტმა ნათით ალიევმა. დღეისათვის ამერიკულ კომპანიას გაჰყავს რკინიგზის შტო, რომელიც დიუბენდს ბათუმიდან გამომავალ ხაზთან დააკავშირებს. აღნიშნული პროექტის ინვესტირება, დაახლოებით, 20 მილიონი დოლარი ჯდება. როგორც აზერბაიჯანის სახელმწიფო სანავთობო კომპანიის ხელმძღვანელმა აღნიშნა, მათ სისტემასთან CHEVRON-ს არავითარი ურთიერთობა არ აქვს. კომპანიამ დიუბენდში არენდით მიიღო ორი რეზერვუარი. ამ ტევადობის რეზერვუარების გადმოცემა და დიუბენდიდან ალი ბაირამლიმდე მილსადენის ერთი შტოს მიწოდება არ დაარღვევს მუშაობის რიტმს, – აღნიშნა ალიევმა. (პრაიმ-ნიუსი)

# სახელმწიფოც და კერძო მფლობელებიც შესაბამის თანხებს მიიღებენ

*2 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. იგი 1998 წლის 1 იანვრიდან შედის ძალაში. ამასთან დაკავშირებით, გეა-ს კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს მიწის რესურსების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ზურაბ გეგეჭკორს.*

*– რამდენად მნიშვნელოვანია ამ კანონის მიღება ჩვენი ქვეყნისათვის?*

– საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის აღორძინების პირობებში, ამ კანონით ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი დარეგულირდება. კერძოდ, სატრანზიტო პროექტები ძირითადად ნავთობსადენის, ტერმინალებისა და სხვა სახის მშენებლობების წარმოებასთან არის დაკავშირებული, რომლებიც მიწის გამოყენებას ითვალისწინებს. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ასეთი მიზნებისთვის ნაკლებნაყოფიერი მიწები უნდა გამოიყოს, მაგრამ როცა ეს არ ხერხდება, სახელმწიფომ გაცემული მიწის ნაკვეთებისთვის კომპენსაცია უნდა მიიღოს. აღნიშნული კანონი დაარეგულირებს ყველა სახის (ინტენსიური სავარგულებისა, საძოვრებისა თუ დაბალნაყოფიერი) მიწის ნაკვეთების გამოყენების სანაცვლოდ, სახელმწიფოსთვის მიწის სარეზერვო ფონდიდან სხვა ნაკვეთის ასათვისებელი თანხების გადახდის საკითხებს.

*– როგორ დარეგულირდება იგივე საკითხები მიწის კერძო მესაკუთრეებთან ურთიერთობისას?*

– მიწის კერძო მესაკუთრეებთან მათი ნაკვეთების გამოყენების შემთხვევაში ეს საკითხები, კანონის თანახმად, უნდა მოგვარდეს კერძო მესაკუთრესა და მიწის ექსპლუატატორს შორის დადებული ხელშეკრულებით.

*– რის საფუძველზე განისაზღვრება მიწით მოსარგებლის მიერ გადასახდელი თანხა?*

– სახელმწიფოსთვის სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებებისა და მიწის კერძო მესაკუთრისათვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობები განისაზღვრება კანონით დაწესებული 1 ჰა ურწყავი სახნავი მიწის ათვისების ღირებულების ნორმატივით. საქართველოში ეს ნორმატივი მინიმალურია ყაზბეგის რაიონში და იგი 14286 ლარს შეადგენს. მაქსიმალური კი – 34001 ლარი განსაზღვრულია გარდაბნის, გალის და ქობულეთის რაიონებისთვის. მაგრამ მიწის ნაკვეთის საბოლოო ფასის დადგენა შესაბამისი რაიონის ნორმატივებზე გადამრავლებით ხდება. არ არის გამორიცხული, რომ მიწით მოსარგებლესა და მესაკუთრეს შორის დადებული ხელშეკრულებით დაწესდეს უფრო მაღალი ან დაბალი ფასიც.

*– საქართველოში რამდენიმე წელია, რაც უცხოური კომპანიები სხვადასხვა პროექტებს ახორციელებენ, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს მჭიდროდ ეხება. რადგან კანონს უკუქმედების ძალა არ აქვს, როგორ დაიცავთ მათ ინტერესებს?*

– სუფსის ტერმინალის მშენებლობისას სამუშაოები მიწის კერძო ნაკვეთებზეც ჩატარდა. 1996 წელს საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციასა და ინგლისურ ფირმას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად მიწა მშენებლობისთვის უფასოდ უნდა გაცემულიყო, რადგან მსგავსი კანონი ჯერ არ არსებობდა. მაგრამ 1992 წლის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების საფუძველზე და დიდი დავის შემდეგ კომპენსაცია მიიღო სახელმწიფომაც – 173 ათასი ლარი და კერძო მესაკუთრეებმაც – 660 ათასი ლარი. ამასთან 1 ჰექტარის ფასი 16071 ლარი იყო. ახალი კანონის მეშვეობით მსგავსი ურთიერთობები მარტივად დარეგულირდება. სუფსაში იწყება ახალი ტერმინალის მშენებლობა, რომელიც 80 ჰა-ზე განლაგდება. აქედან 62 ჰა კერძო მფლობელებზე მოდის. კანონის თანახმად და ყველა ნორმატივის გათვალისწინებით ამ ნაკვეთების თითოეული ჰექტარის ფასი 25-დან 30 ათას ლარამდე იქნება შეფასებული და სახელმწიფოც და კერძო მფლობელებიც შესაბამის თანხებს მიიღებენ. (გეა)

# ამიერკავკასია კიდევ დიდხანს ვერ იხილავს «ნავთობდოლარებს»

ბოლო დროს ზემოდური გახდა კასპიის ნავთობის, მისი ტრანზიტისა და საერთაშორისო ბაზარზე გატანის თემაზე საუბარი. ერევნის სხვადასხვა წრეებში დროდადრო სერიოზულად განიხილავენ: როგორი შანსები აქვს სომხეთს კასპიის ნავთობის ტრანზიტზე თავისი ტერიტორიის გავლით.

მიმდინარე წლის ოქტომბერში განახლდა სომხურ პრესაში „სომხეთის მარშრუტის" მუსირება. ამ თემამ ახალი იმპულსი სომხეთის პრეზიდენტის, ლევონ ტერ-პეტროსიანის ინტერვიუს შემდეგ მიიღო. პრეზიდენტმა თქვა, რომ დღის წესრიგიდან არ მოხსნილა აზერბაიჯანის ნავთობის სომხეთის ტერიტორიაზე ტრანზიტის საკითხი და რომ უდაოა სწორედ ამ მარშრუტის ხელსაყრელობა ყველა თვალსაზრისით – ამაში დასარწმუნებლად რუქისათვის თვალის ერთი შევლებაც საკმარისიაო, – თქვა მან.

ეს განცხადება ტერ-პეტროსიანმა მაშინვე დაუკავშირა თავის თანხმობას ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეების წინადადებებზე ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით ყველა კომენტატორმა თავისი თვალსაზრისით გააკეთა ანალიზი. ზოგიერთის ვერსიით, პრეზიდენტის მოცემული ნაბიჯი პირდაპირ კავშირშია სომხეთის მოსახლეობის კეთილდღეობის მიუღწევლობასთან კონფლიქტის დამთავრებასა და ყარაბაღის საკითხზე პოლიტიკური შეთანხმების ხელმოწერამდე. მათი აზრით, სწორედ ნავთობსადენმა უნდა შეასრულოს უმთავრესი როლი ეკონომიკის გაჯანსაღებაში, სომხეთში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაში და აქედან გამომდინარე – სომხეთის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში. ყველა ამ პერსპექტივამდე ყარაბაღის პრობლემის მოგვარებას „მწვანე შუქი" აენთება.

მათი ოპონენტები კი ამტკიცებენ, რომ პრეზიდენტმა სწორედ ყარაბაღის საკითხში დათმობების ხარჯზე დაიწყო ნავთობსადენზე საუბარი.

არსებობს აზრიც, რომ სომხეთის პრეზიდენტი გარკვეულ ზეწოლას განიცდის არა მარტო აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის (ასსკ) აქტიური მონაწილე აშშ-ისა და საფრანგეთისაგან, რომლებიც ამავე დროს თურქეთის მარშრუტსაც უჭერენ მხარს, არამედ რუსეთისგანაც, რომლის ხელმძღვანელობასთანაც მოსკოვში თავისი აგვისტოს ვიზიტის დროს ლევონ ტერ-პეტროსიანმა მიაღწია შეთანხმებას მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ გაზის მიწოდებაში. საუბარია იმაზე, რომ, ჯერ ერთი, რუსეთმა და სომხეთმა პირველად მოაწერეს ხელი შეთანხმებას გაზის მიწოდების ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ და მეორეც, სწორედ ეს ერთობლივი საწარმო განახორციელებს რუსეთის გაზის ტრანზიტს თურქეთში, საიდანაც ის ახლო აღმოსავლეთში გადაიქაჩება. მოკლედ, სომხეთში გადაკვეთა ერთმანეთი ორმა სხვადასხვა ვექტორის მქონე სტრატეგიულმა პროექტმა მილსადენთა კომუნიკაციების გაყვანის შესახებ.

სომხეთზე, როგორც კავკასიის ნავთობის სატრანზიტო ტერიტორიაზე საუბრისას, ჩვეულებისამებრ, მხედველობაში აქვთ „ძირითადი" და არა „ადრეული" ნავთობი. „ადრეული" ნავთობის საკითხი ასსკ-ის დასავლელმა მონაწილეებმა ჯერ კიდევ 1996 წელს გადაწყვიტეს – მისი ტრანსპორტირება საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიების გავლით მოხდება. რაც შეეხება „ძირითად" ნავთობს, როგორც ჩანს, არ სურთ მისი მოქცევა მოსკოვის კონტროლის ქვეშ.

ყოველივე ზემოხსენებულის გარდა, კიდევ მრავალი მიზეზი არსებობს იმისათვის, რომ ეჭვი შევეპაროს აზერბაიჯანისა და მისი დასავლელი პარტნიორების იმედებში, რომ „ძირითადი" ნავთობის ტრანზიტი ახლო მომავალში დაიწყება, რომელი მარშრუტიც არ უნდა აირჩიონ. მაგალითად, იგივე „სომხეთის მარშრუტი". დასავლეთის კომპანიების გეგმების მიხედვით ნავთობსადენი სომხეთის ტერიტორიაზეც რომ გაატარონ, ხომ მაინც თურქეთში უნდა მოხვდეს. ნავთობსადენის მიმართულებაზე ყარაბაღის პრობლემის გარდა კიდევ ერთი „შლაგბაუმი" დგას: სომხეთსა და თურქეთს შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობა. რაც შეეხება ამ პრობლემის გადაწყვეტას, იგი საერთოდ არაა დამოკიდებული ყარაბაღის პრობლემის არსებობაზე. არსებობს ე.წ. აიდატი (სომხური საკითხი) – 1915 წელს ოსმანთა თურქეთში სომეხთა გენოციდის გამოძახილი. სომხეთში, თუ მის საზღვრებს გარეთ არსებულ სომხურ დიასპორებში სხვადასხვა ძალები არ იშურებენ ძალისხმევას, რომ ეს დანაშაული კარგად გახდეს ცნობილი საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის (სხვათა შორის, რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ ჯერ კიდევ 1995 წლის 14 აპრილს აღიარა და დაგმო სომხების გენოციდი). ბუნებრივია, თურქეთი აქტიურ წინააღმდეგობას სწევს ამ საკითხში, თუნდაც იმით, რომ თურქეთის მხარე სომხეთის ხელისუფლებისაგან მოითხოვს დაუყოვნებლივ და უპირობოდ აღიაროს თურქეთის თანამედროვე საზღვრები და უარი თქვას გენოციდის საყოველთაო აღიარების მცდელობაზე.

ზოგიერთი სომეხი ანალიტიკოსის აზრით, ენერგორესურსების დასავლეთის მიმართულებით ტრანზიტისათვის თურქეთის ტერიტორიის გამოყენება არ წარმოადგენს უდაო გადაწყვეტილებას. ანკარა მრავალი გარე კონფრონტაციის გარემოცვაშია. ამას ამძაფრებს თურქეთსა და კვიპროსს შორის მზარდი სახიფათო დაძაბულობა, ასევე, ბოლომდე გაურკვეველი ურთიერთობა რუსეთსა და ირანთან, ჯერჯერობით მიჩუმათებული კონფლიქტი სირიასთან და ერაყთან ტიგროსისა და ევფრატის წყლებთან დაკავშირებით, ასევე – მუსულმანურ სამყაროში თურქეთის თანდათანობითი იზოლაცია ისრაელთან სამხედრო თანამშრომლობის გამო. დაბოლოს, ქურთების პრობლემის სერიოზული სიმწვავე თავად თურქეთის ფარგლებში.

ჩამოთვლილ ფაქტორებს, ალბათ, ვერ უწოდებ კეთილსასურველს კასპიის „ძირითადი" ნავთობის ფართომასშტაბიანი და ხანგრძლივი ტრანზიტის დაწყებისათვის. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანი და ამიერკავკასიის ქვეყნები კიდევ დიდხანს უნდა ელოდონ „ნავთობდოლარებს", მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ არ არსებულ ნავთობსადენით დაინტერესებული დასავლური წრეები ენით აღუწერელ დივიდენდებს სთავაზობენ ამიერკავკასიის ქვეყნებს და პოლიტიკური ხასიათის დაპირებებსაც აძლევენ.

**ჰამლეტ მატევოსიანი,**
**პრაიმ-ნიუსი**

## თვითმკვლელობა, თუ გაუფრთხილებელი შემთხვევა

როგორც „იფრინდა"-ს თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსმა გ.გაბუნიამ აცნობა, 28 ოქტომბერს, დაახლოებით 20 საათზე, დიდუბის მეტროსადგურის ზედა ბაქანზე მდებარე პოლიციის სამორიგეო ოთახში აფეთქებულმა ხელყუმბარამ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსმა ს.ალავიძემ „იფრინდა"-ს აცნობა, რომ აფეთქება მოხდა „რგდ-1"-ის ტიპის ხელყუმბარით, რომელიც ხელში აუფეთქდა მეტროპოლიტენის პოლიციის ყოფილ თანამშრომელს, 27 წლის დავით კაპანაძეს. ს.ალავიძის თქმით, იმ გარემოებამ, რომ ოთახი ცარიელი იყო, ასევე იმანაც, რომ აფეთქება არ მოხდა ბაქანზე, ან მეტროს ვაგონში, განსაზღვრა მსხვერპლთა რაოდენობის სიმცირე, რადგან, მისივე განმარტებით, აღნიშნული ხელყუმბარის ნამსხვრევების მოქმედების რადიუსი დაახლოებით 30-40 მეტრია. „თვითმკვლელობა იყო ეს, თუ გაუფრთხილებელი შემთხვევა, ჯერჯერობით უცნობია. ამას გამოძიება დაადგენს" – განუცხადა „იფრინდა"-ს ს.ალავიძემ. (იფრინდა)

## საზღვარგარეთ

### გებელსი და მასმედია

გერმანელმა სოციოლოგებმა, რომლებიც ამ საუკუნის შედეგებს აჯამებენ, დაადგინეს, რომ მსოფლიოს პოლიტიკოსებიდან, რომელთაც მეოცე საუკუნეში მოუწიათ მოღვაწეობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ძალა ბოლომდე გაიგო და გამოიყენა იოზეფ გებელსმა.

მეცნიერთა დასკვნები ეფუძნება იმ შედეგებს, რომელსაც დოქტორმა გებელსმა მიაღწია – მან გაზეთებისა და რადიოს საშუალებით შეძლო ერისათვის ჩაენერგა ნაცისტური იდეოლოგიისადმი პატივისცემა და თაყვანისცემა, ებრაელებისადმი მასობრივი ზიზღი და საბოლოო ჯამში სრულიად კონსტიტუციური გზით ხელისუფლების სათავეში მიეყვანა ადოლფ ჰიტლერი. როგორც სოციოლოგებმა აღნიშნეს, გებელსის შემდეგ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ასე ეფექტურად არც ერთ პოლიტიკოსს არ გამოუყენებია. (ბეა)

### რაბინი — სასულიერო პირი თუ ბედის განმგებელი?!

გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, ამერიკელმა ებრაელებმა გადაწყვიტეს, რომ ისრაელს შეუწყვიტონ დახმარება.

აღნიშნულის მიზეზი კი გახდა ის, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ულტრა-ორთოდოქსალური პარტიების მოთხოვნის შესრულება გადაწყვიტა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ ამ პარტიების წარმომადგენლებს, რაბინებს უნდა მიეცეთ უფლება განსაზღვრონ, ვინ ებრაელია და ვინ არა. იმის გამო, რომ ამერიკელ ებრაელთა უმრავლესობა იუდაიზმის რეფორმატორული განშტოების მიმდევარია, ისინი შიშობენ, რომ მათ ისრაელში „მეორე ხარისხის“ ადამიანებად მიიჩნევენ. მათ შიშს იწვევს ისიც, რომ თუ ეს კანონი მიღებული იქნება, მსოფლიო ისრაელს ახლო აღმოსავლეთში ერთადერთ დემოკრატიულ სახელმწიფოდ აღარ ჩათვლის. (ბეა)

### კონიახინი იმიტომ დააპატიმრეს, რომ გაქცევას შეეცადა

რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურა პრეზიდენტ ბორის ელცინისათვის ამზადებს წერილობით მოხსენებას ქალაქ ლენინსკ-კუზნეცკის ყოფილი მერის, გენადი კონიახინის სასამართლო საქმესთან დაკავშირებით ძიების მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნულის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურორმა იური სკურატოვმა.

ჯერჯერობით პროკურატურამ კონიახინს სახელმწიფო ქონების დატაცების ბრალდება წაუყენა. მაგრამ, სკურატოვის თქმით, პროკურატურა ემზადება ყოფილი მერისათვის სხვა ბრალდებების წასაყენებლადაც. გენპროკურორმა აღნიშნა, რომ კონიახინი თავის ოჯახთან ერთად ასე უცბად რომ არ გამქრალიყო, შესაძლოა, მისი დაკავების საკითხი არც წამოჭრილიყო. (ბეა)

# ახლა კი მივხვდი, გიაურო, ვინც ყოფილხარ, მაგრამ რაღა დროს...

## „ვიცოდი, რომ შევარდნაძის და გორბაჩოვის ყოველ შეხვედრას ინაური ესწრებოდა“

*დღეს ბევრი ალაპარაკდა. კაცმა არ იცის, რა შეიძლება დაერქვას „ძლიერთა ამა ქვეყნის“ აჩრდილების მემუარებს, სადაც ბევრი ინტიმური თუ დაფარული მოვლენაა ხოლმე ასახული, პურისა არსობისა მოპოვების ცდა, თუ იმის შიში, საფლავში არ ჩაიტანონ „ფასდაუდებელი განძი“.*

*ფაქტია, რომ დღევანდელი მმართველების ცხოვრების შესახებ ასეთი მდიდარი ინფორმაცია არ გვაქვს, მაგრამ ცნობისმოყვარეთა საყურადღებოდ ვიტყვი: დრო გავა, მაგასაც მოესწრებით.*

* * *

*ამჯერად გთავაზობთ სსრკ კგბ-ს მე-9 განყოფილების უფროსის იური სტოროჟევის ინტერვიუს. მშვიდობის დროს ამ განყოფილებას ბრეჟნევის, ანდროპოვის, ჩერნენკოსა და სხვა „გენსეკთა“ დაცვა ევალებოდა.*

* * *

*– თქვენ ბრეჟნევის გვერდით სწორედ იმ წლებში იყავით, რომელსაც ამჟამად „უძრაობას“ უწოდებენ. ეთანხმებით ასეთ შეფასებას?*

– არა. ჩემი ღრმა რწმენით, იმ წლებში ქვეყნის სათავეში პიროვნებათა და სახელმწიფო მოღვაწეთა ძლიერი კოჰორტა იდგა: ანდროპოვი, გრომიკო, კოსიგინი, მაზუროვი, მაშეროვი. განსაკუთრებით გამოვყოფ დ. უსტინოვს, რომელიც ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში, 33 წლისა გახდა მინისტრი. ბევრი რამ გააკეთა, პირადად იცნობდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ყველა დირექტორსა და დიდ მეცნიერს. ბრეჟნევი იმით იყო ძლიერი, რომ შეეძლო ადამიანების შერჩევა თავის გუნდში.

*– გენერალური მდივნის მეფურ ნადირობებზე და მანქანების პარკზე ლეგენდები დადის. ან ის პრივილეგიები, რომლებიც პარტიულ ნომენკლატურას ჰქონდა მინიჭებული, ხომ ყველას პირზე აკერია...*

– ლეონიდ ილიჩს სისუსტეები ჰქონდა, ეს არ არის საიდუმლო. კი, ჩუქნიდნენ მას მანქანებს, რომლითაც მას პრაქტიკულად არ უვლია, არც იყო ამის მოყვარული. უბრალოდ, მოსწონდა ეს ჩუქნის პროცესი. ნადირობაც უყვარდა, საკმაოდ კარგი მსროლელი გახლდათ. მას მოსწონდა ეს საქმე და კეთილი ბუნების ადამიანიც იყო თუ გარეულ ღორს მოკლავდა, ყველას მოუჭრიდა კარგ ნაჭერს. მე მეტყოდა ხოლმე: „აბა, იურა, მიიღე შენი საჩუქარი“.

მანქანებიც იყო, პრივილეგიებიც, სახლებიც, მაგრამ ახლანდელთან შედარებაც არ შეიძლება. მახსოვს, მთავრობის ხელმძღვანელთათვის სახლი აშენდა, იმდროინდელი საზომით გრანდიოზული, 280–330 კვ.მეტრი. დამირეკა კირილენკომ და მითხრა: „წამოდი, დავათვალიეროთ“. ადგილზე კი ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ ძალიან მდიდრულია, ხალხის წინაშე უხერხული იქნება. ამიტომ მეცნიერებათა აკადემიას აჩუქეს სახლი, მეცნიერებთან არავის ექნება პრეტენზიაო.

ლეონიდ ილიჩსაც აუშენეს სახლი შუსევის გზატკეცილზე. მდიდრული, ბუხრებით, დიდი დარბაზებით, სპეციალური შესასვლელებით, მაგრამ არ შესახლდა,



შერცხვა. ამჟამად იქ ხასბულატოვი ცხოვრობს.

*– ბრეჟნევის ნათესავებთან თუ გაქვთ რამე კავშირი?*

– არა. მისი მეუღლე ვიქტორია უკვე გარდაიცვალა. კუბოს სახურავის წამღებიც კი არავინ იყო. არადა, ადრე ასობით ადამიანი მისი კეთილგანწყობის მოპოვების მცდელობაში მუხლებზე დახოხავდა. ძალზე ულირსად მოიქცა მიშა გორბაჩოვი: მოხუცი, ავადმყოფი ადამიანი აგარაკიდან გამოასახლა. კუტუზოვის №26 სახლიდან კი მემორიალური დაფის ჩამოხსნა ბრძანა, რომელზედაც ეწერა, რომ იმ სახლში ბრეჟნევი ცხოვრობდა. რაში შეუშალა ხელი ნეტავი?

*– უკანონო შვილები თუ ჰყავდა ბრეჟნევს?*

– არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ქალებში წარმატებით სარგებლობდა. მაგრამ ამას ბოროტად არ იყენებდა.

*– იმ რომანზე რას იტყვით, რომელიც მას მედდასთან ჰქონდა და ამბობენ, ეს უკანასკნელი მრავალი საკითხის გადაწყვეტაში იღებდა მონაწილეობას თავისი ინტიმური კავშირის გამო.*

– არ მინდა ამ საკითხზე ლაპარაკი – აქამდე ბევრმა თქვა ამის შესახებ. მაგრამ მას რომ გარკვეული გავლენა ჰქონდა, – მართალია. ისე, იცოდეთ, ხელმძღვანელისათვის ასეთი ადამიანი საჭიროა, არ გაგყიდის მაინც. აბა ის არის კარგი, ქუჩის პუტანკებს გააგებინო ათასი რამ, როგორც მინისტრმა კოვალიოვმა მოინდომა აბანოში „გახურება“?

*– როგორ აფასებთ კორჟაკოვის წიგნს?*

– ეს ახლანდელი მეშჩანებისათვის არის მხოლოდ საინტერესო ჩემი აზრით, ასეთი წიგნები ცუდი ტონის გამოვლენაა. გასაგებია, ბევრს დააინტერესებს დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა თეთრეულში ქექვა, მაგრამ დეტალები არ გახლავთ ადამიანის ნამდვილი სახის გამომხატველი.

ბოლო დროს მრავალი ასეთი მემუარი გამოვიდა, მათ შორის ბევრის ავტორი ყოფილი კგბ-ს თანამშრომელი იყო. თემა „მე და დიდი ადამიანები“ ბევრს არ აძლევს მოსვენებას. მე მათ ადგილზე უფრო ფრთხილი ვიქნებოდი პირადი ცხოვრების შეფასების საკითხში. აქ ხომ სუბიექტურ შეფასებასთან გვაქვს საქმე და შეიძლება არ ასახოს სწორად სინამდვილე.

კიდევ ერთი მომენტი. იგივე კორჟაკოვი აცხადებს, რომ კისელიოვი კგბ-ს აგენტი იყო. მე არ ვიცი, ეს მართალია თუ არა, მაგრამ ეს არ არის კაცური. კგბ-ში ყოველთვის იყო ერთი კანონი: ყოველივე, რაც კი შენთვის გახდა ცნობილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, შენთან ერთად უნდა დაიმარხოს. სამწუხაროდ, ეს უკვე ბევრმა დაივიწყა.

ან იგივე გორბაჩოვი ავიღოთ. მე მას ჯერ კიდევ საოლქო კომიტეტის მდივნობის დროს ვიცნობდი. როდესაც იგი მოსკოვში გადმოდიოდა, რითაც შემეძლო, დავეხმარე. მაგრამ, როცა ხელისუფლების სათავეში მოვიდა, ყველაფერი დაივიწყა. თვალს მარიდებდა, თითქოს არ მიცნობდა. გაიელის და თვალები შუშისას მიუგავს. მის მაგალითს სხვებიც ბაძავდნენ, მისი წრის ხალხი, მათ შორის მედვედევი, გორბაჩოვის „აჩრდილი“. მე მას ჩემს მეგობრად ვთვლიდი.

*– იქნებ ერთ საკითხსაც მოჰფინოთ ნათელი. გამიგია, რომ სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვასილ ვასილის ძე კუზნეცოვი სამსახურში კრემლში ფეხით დადიოდა გორკის ქუჩის გავლით. მას უკან მუდმივად კგბ-ს თანამშრომლები დაჰყვებოდნენ, არა იმდენად დაცვის მიზნით, არამედ იმიტომ, რომ არ გამორჩენოდათ მისი შეხვედრა პოლიტბიუროს რომელიმე წევრთან. დაახლოებით იგივეს ამბობდა თავის მემუარებში პოლიტბიუროს წევრი ვოროტნიკოვი. მართალია თუ არა, რომ უშიშროების ორგანოების მოვალეობაში შედიოდა ამოცანა, – არ დაეშვათ „მაღლა“ რაიმე დაჯგუფებათა და „ალიანსების“ წარმოშობა?*

– არა, ეს ასე არ არის. მაგალითისათვის მოგახსენებთ: მე ძალზე არ მომწონდა, რომ შევარდნაძე და გორბაჩოვი, ასე ვთქვათ, ერთმანეთთან არაფორმალურ მეგობრულ ურთიერთობას ამყარებდნენ. მაგრამ მე არ ჩავრეულვარ, რადგანაც ვიცოდი, რომ მათი ყოველი შეხვედრა ხდებოდა საქართველოს კგბ-ს თავმჯდომარის ინაურის თანდასწრებით. მას კი ყველაფერი ანდროპოვისათვის უნდა მოეხსენებინა. მე ჩავთვალე, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. სულ ტყუილად- თურმე როგორ ვცდებოდი.

ესაუბრა **იგორ ჩერნიაკი**
„კომსომოლსკაია პრავდა“
24.10.97 წ.

### პედაგოგების 2/3-მა ტესტირება უკვე გაიარა

განათლების სამინისტროს საატესტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დათო ბურჭულაძემ გეა-ს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ 25–26 ოქტომბერს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და გეოგრაფიის ტესტირებულ გამოცდაში მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ტესტირებას დაქვემდებარებულ მასწავლებელთა 68,4%-მა მიიღო მონაწილეობა. ოთხ ეტაპად ჩატარებულ ტესტირებულ გამოცდებში სულ 66,6% მონაწილეობდა, რაც მისი თქმით, ტესტირებას დაქვემდებარებულ პედაგოგთა 2/3-ს შეადგენს.

პედაგოგთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით ერთი კვირის შემდეგ დაზუსტდება.

ბურჭულაძის თქმით, განათლების მინისტრის ბრძანებით ამჟამად განყოფილებების ხელმძღვანელები აგროვებენ მასწავლებელთა სიებს, თუ რამდენ პედაგოგს რომელ საგნებში უნდა მეორე ეტაპზე ტესტირებაში მონაწილეობა. მისი თქმით, ტესტირების დამატებით ჩატარების თარიღიც ამის მიხედვით დადგინდება. (გეა)

### აცალონ მუშაობა

იმერეთის გუბერნატორი არ ენდობა მაკონტროლებელ ორგანოებს, სადაც ხელფასი 15 ლარია. რაიონებში მათი ჩასვლა ხშირად ფულის აკრეფას ისახავს მიზნად.

შაშიაშვილის თქმით, უშიშროებისათვის ცნობილი უნდა იყოს ასეთი ფაქტები, მაგრამ რეაგირებას არ ახდენს. „შემმოწმებლები რესპუბლიკის პროკურატურიდან და შინაგან საქმეთა სამინისტროდან იმერეთში არავის ჭირდება. თუ ჭუმბურიძე და ასანიძე არ მოსწონთ, შეცვალონ, თუ არა და მუშაობა უნდა აცალონ“ – განაცხადა შაშიაშვილმა. (გეა)

### მიმდინარეობს გამოძიება – ჰქონდა თუ არა ადგილი ქვემო ქართლში მიწების უკანონოდ გასხვისებას

საქართველოს პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება იმის დასადგენად, სინამდვილეში ჰქონდა თუ არა ადგილი ქვემო ქართლში მიწების უკანონოდ გასხვისებას.

როგორც „იფრინდა“-ს პროკურატურის პრეს-ცენტრიდან აცნობეს, სისხლის სამართლის საქმის აღძვრას საფუძვლად დაედო ქართული მასმედიის ფურცლებზე გარდაბნელი ალიბეგ ალახვერდიევის განცხადებები.

გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილებით, შექმნილია ჯგუფი, რომელთა მოწვევით, მიწის მართვის დეპარტამენტის სპეციალისტები ამოწმებენ ქვემო ქართლში მიწის ნაკვეთების გამოყოფის კანონიერებას. შემოწმების შედეგები დაახლოებით ორი კვირის შემდეგ გახდება ცნობილი.

თუმცა როგორც პრეს-ცენტრი იუწყება, საქმის სრულყოფილად გამოძიებას ართულებს ის, რომ ოჯახვერდიევი თავს არიდებს გენერალურ პროკურატურაში გამოცხადებას, რის გამოც დაისვა საკითხი პროკურატურაში მისი იძულების წესით მიყვანის თაობაზე. ამის უზრუნველყოფა დაევალა შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს. (იფრინდა)

# თურმე უკრაინელი დეპუტატებიც ცდებიან



საქართველოში ვიზიტად მყოფი უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა გუშინ პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა. ზურაბ ჟვანიამ საქართველოსა და უკრაინას შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე ისაუბრა და მომავალში თანამშრომლობის გააქტიურების იმედი გამოთქვა.

უკრაინის პრეზიდენტმა მიმოიხილა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები. როგორც მან აღნიშნა, უკრაინაში ორმოცდაათამდე პარტია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება არსებობს, მაგრამ მათი უმრავლესობა პოლიტიკური იდეოლოგიის თვალსაზრისით იდენტურია. როგორც ირკვევა, უკრაინის პარლამენტში უმრავლესობა მემარცხენე ორიენტაციისაა, რაც რეფორმატორულად განწყობილ აღმასრულებელ ხელისუფლებას საკმაოდ ბევრ პრობლემას უქმნის. პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ ქართველ პარლამენტარებს უკრაინელი კოლეგების რამდენიმე, მისივე შეფასებით პოპულისტურ და რეალურ საფუძველს მოკლებულ გადაწყვეტილებაზე უამბო. მაგალითად: უკრაინის პარლამენტის მიერ დამტკიცებული საპენსიო ფონდი, თურმე, ქვეყნის ბიუჯეტზე მეტი აღმოჩნდა.

სტუმრის განცხადებით, 1998 წლის მარტის ბოლოს უკრაინაში გაიმართება ახალი საპარლამენტო არჩევნები, რომელმაც, უკრაინის პრეზიდენტის შეფასებით, უნდა განაპირობოს ქვეყნის მომავალი, ჯერჯერობით კი, საქართველოში აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის ჩამოყალიბებული კონსტრუქციული ურთიერთობების პრაქტიკა, ლეონიდ კუჩმას შეფასებით, სამაგალითოა და კეთილი შურის საგანია.

ზურაბ ჟვანიამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს განსაკუთრებული დამოკიდებულება უკრაინის მიმართ. „საქართველო უკრაინას სტრატეგიულ პარტნიორად აღიქვამს. ეს ის სახელმწიფოა, რომელიც ახალ პოლიტიკურ კლიმატს ქმნის რეგიონში" – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ. (ბეა)

# მასწავლებლები სარიტუალო დარბაზის გაუქმებას მოითხოვენ

მეორე გვერდიდან

რეაგირება არ მოჰყოლია.

რუსუდან ჰეიშვილის თქმით, ამის გამო, ყოფილ დირექტორს განუცხადებია, რომ ვერ შეურიგდებოდა „ამდენ განუკითხაობას, თავხედობას, არაფრად ჩაგდებას" და პროტესტის ნიშნად დატოვა სკოლა.

პრაიმ-ნიუსთან საუბარში ქუთაისის 36-ე სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლის სარდაფში უკანონოდ არსებულ სარიტუალო დარბაზში თინათინ ბარათელი დღემდე საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით აქირავებდა დარბაზს ქორწილებისა და ქელეხების ჩასატარებლად.

მიუხედავად ამისა, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის, სოლომონ სვანიძის თქმით, ეს დარბაზი არასოდეს ყოფილა მათ მიერ აღრიცხვაზე აყვანილი და არც რაიმე საჯარიმო სანქცია გაუტარებიათ.

პრაიმ-ნიუსთან საუბარში, თინათინ ბარათელმა გაოცება გამოთქვა პედაგოგების პროტესტთან დაკავშირებით: „მაშინ სად იყვნენ, როცა ნიჩბებით ვმუშაობდით და მიწით ამოვსებულ სარდაფს ვწმენდდით. ასეთი კომფორტული სარიტუალო დარბაზი მთელ ქალაქში არ მოიძიება და, გაურკვეველია, რატომ უნდა დახურონ? თანაც, ეს დარბაზი საერთოდ არ უშლის სკოლას მუშაობაში ხელს", – თქვა ბარათელმა.

სკოლის ახალი დირექტორის თქმით, მან რამდენიმეჯერ მიმართა სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს, განათლების ქუთაისის საქალაქო საბჭოს, ქალაქის მერს, სასამართლოს, უბნის პოლიციას – შეეწყვიტათ ამ დარბაზის ფუნქციონირება. „მიუხედავად ამისა, აქ მაინც იმართება ქელეხები და ქორწილები. ისეთი კი არავინ აღმოჩნდა, ვინც ამ საკითხს სერიოზულ ყურადღებას დაუთმობდა. სასამართლოში გვითხრეს, რომ დარბაზი დალუქეს, მაგრამ ბარათელმა თვითნებურად ახსნა ლუქი. ასე მუშაობის გაგრძელება შეუძლებელია – ეს დარბაზი ან უნდა დააკანონონ, ან მისი მფლობელი გამოასახლონ", – აცხადებს რუსუდან ჰეიშვილი.

პედაგოგების თქმით კი, სასწავლო დაწესებულების სარდაფში მსგავსი დარბაზის არსებობას ურჩევნიათ „მათხოვრული" ხელფასი იმყოფინონ და საკუთარი სახსრებით შეიძინონ ცარცი.

ქუთაისის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება დარბაზის მეპატრონის გამოსახლების შესახებ, ანაზღაურების გარეშე, მაგრამ ეს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეაჩერა, – უთხრა პრაიმ-ნიუსს ქუთაისის სასამართლოს აღმასრულებელმა მამუკა ჩხეიძემ. (პრაიმ-ნიუსი)

# ომში წასულო ვაჟკაცო...



მამუკა ბარათაშვილი აღარ არის. თავზარდამცემი იყო ეს დღე ჩვენთვის. როგორ გვინდოდა, რომ ტყუილი ყოფილიყო. თუმცა მტრებმა საბოლოოდ დაიჯერეს, დაიჯერეს, რომ შენი მზე ჩაესვენა და აღარ ანათებს.

რა მწარედ სცდება! – შენი მზე ხომ საქართველოა. მისი სიდიადისთვის შეიმოკლეთ დღენი სიცოცხლისა და ეს არის, რომ ათასჯერ მწარედ გვახსენებს თავს და მტკივან გულზე კვლავ ტკივილს გვიმატებს.

არ გვავიწყდები!!! შენი სახით დაკარგული თითოეული გოჯი მიწა ყვის, გოდებს.

ვაი მას!!!... ვიღაც ერთსა და იმავე ადგილს სტკეპნის, წინ ერთი ბიჯიც არ სურს წარსდგას, ჰგონიათ, რომ დრო გავა და ტკივილი გაივლის, – არა!!!

უფრო მატულობს და გვიყოლიებს, სანამ თქვენთან ერთად დაკარგული თითოეული მტკაველი მიწის დაბრუნებით არ დავიამებთ. გეტყვით:

ასეთნაირად გვახსოვხარ და გვახსენდები ჩვენო ძმაო და ტკივილო.

ეთერი დეიდა, გურამი, ლელა, ზურა, მალხაზი, ნონა, ნატო, დოდო, თამრიკო, ლუიზა, ირინა

# კროსვორდი



თარაზულად: 1. ლითონის ნაკეთობათა ზედაპირის დაფარვა სხვა ძვირფასი ან უფრო გამძლე ლითონის თხელი ფენით; 8. სამონასტრო კომპლექსი დასავლეთ საქართველოში; 9. ავკაცი; 10. უწყება, რომლითაც ატყობინებენ მიმღებს მისთვის ფულის, თამასუქის ან საქონლის გაგზავნას; 11. საქონლის საერთო წონა; 12. თბილისის ერთ-ერთი უბანი; 14. ხურდა ფული ძველ საბერძნეთში; 17. უიარაღოს ნაწარმოების პერსონაჟი; 19. წელთაღრიცხვის სისტემა; 21. ამერიკელი რეჟისორი, პროდიუსერი და მსახიობი; 22. ადამიანების, ხალხთა გადასახლება ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ; 23. აღვირახსნილი ღრეობა; 26. ჯიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 28. სახელმწიფო აფრიკაში; 29. გარეული ცხოველი; 31. ფულის ერთეული ევროპის ზოგ ქვეყნებში; 32. ქართველი მსახიობი ქალის სახელი; 34. ამერიკელი კინოვარსკვლავი; 35. მდინარე ბულგარეთში; 36. სუსტი სპირტიანი სასმელი, რომელსაც მადის მოსაყვანად სვამენ.

შვეულად: 1. ხმადაბლა (მუსიკალური ნაწარმოების შესრულების დროს); 2. ერთხმიანი ლირიკულ-დრამატული შინაარსის ვოკალური ნაწარმოები; 3. საერთო სახელწოდება ამერიკის ძველი მკვიდრი მოსახლეობისა; 4. გადამდნარი კარაქი; 5. ყველაზე დიდი არტერია; 6. თავსატეხი; 7. აბრეშუმის ერთგვარი პრიალა ქსოვილი; 11. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოები; 13. მსახიობი, რომელიც დახელოვნებულია იმიტაციაში; 15. ძველებური ერთსატენიანი შაშხანა; 16. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი; 18. თხლად დაჭრილი, შემწვარი კარტოფილი; 20. კიბე გემისა და თვითმფრინავისათვის; 24. სასქესო უჯრედი; 25. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე; 27. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 30. ბერძნულ მითოლოგიაში ცისარტყელას ქალღმერთი, ღმერთების მაცნე; 31. ხილი; 32. სვანური ხალხური სიმღერა; 33. მიწის საზომი ერთეული.

**თამუნა მაჭავარიანი**

## წინა ნომრის პასუხები

თარაზულად: 3. ფესვი; 8. მუხიანი; 9. ველური; 10. ზურნა; 11. პატენტი; 12. ნევადა; 13. ჯამი; 15. ხატია; 18. თბილი; 21. რეაქტორი; 22. რადარი; 24. ლივა; 25. პაკეტი; 26. არია; 27. ინიციალი; 30. ნეფერტიტი; 31. სერჟანტი.

შვეულად: 1. ყულაბა; 2. ჩინეთი; 3. ფიზიკა; 4. სურამი; 5. ივანე; 6. კუპატი; 7. ტირანი; 13. ჯეირანი; 14. მანდილი; 15. ხარი; 16. ტრამპლინი; 17. არტეკი; 19. ბრილიანტი; 20. ლინგვისტი; 23. რაპირა; 28. ნოე; 29. ხე.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444